

ნოჯიხური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი №2 (19) მკათათვე 2010

საქართველო

საქართველოსთვის დაღვრილი სისხლი
ახლა უფროა უფლისმიერი,
როდემდე უნდა ვიცხოვრო ისე,
თითქოს კრწანისთან ვარ ბედნიერი.
მე ვერ დავარქმევ მშენებელს იმას,
ვინც საქართველოს საფლავს უშენებს,
აკვანში ახლაც ამირანს სძინავს,
ღმერთო გაზარდე, ღმერთო უშველე!
პატარა ქართლში უფლის ნაკვეთი,
ვაიმე უფრო დაპატარავდა,
ვის ახსოვს ახლა შენი ალგეთი,
შენი დიდგორი, შენი მარაბდა!
მე კი მერმისზე ფიქრიც კი მტანჯავს,
არათუ ჯვარცმა, ძუძუზე-გაზი,
მეც მირჩევნია სხვის ლალს და მარჯანს
ალაზნის ველზე გაზრდილი ვაზი.
ვის შევეკედლო უხმლო, უფარო,
ამღვრეულია ჯანღით ნილოსი
იხსენ, უფალო, იხსენ, უფალო,
საქართველო და ჯვარი ნინოსი!

სიმონ ბალახაძე (ხალხოსანი)

იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს

არსთა გამრიგემ არ გაიმეტოს
ვინც სამყაროთა თვალის ჩინია,
ადამიანო, შენდა იმედად
ღაღადებს სიტყვა „ნუ გეშინია.”
ზეცამ ძუძუდან არ მოგიკვეთა,
ყოველი არსი შენთვის ხმიანობს,
ვაგლახად სასო არ წარიკვეთო,
ვინძლო სული არ დაიზიანო.
ფათერაკს მკერდით გადაუდექი,
მოძმეთ იმედი არ წარუხოცო,
ადამიანო, იყავ უდრეკი,
იყავ უშიში, ვითა უხორცო.
სტიქიონების ველურ თარეშში
სულის სიმტკიცე გმართებს მალული,
რადგან ვაჟკაცურ გზნების გარეშე,
არ არის ქვეყნად არც სიყვარული.
როცა წინასწარ თქმული ახდება,
როცა სამყარო ფაფარს აიშლის,
განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები,
როგორ იწოდო პირმშო ქარიშხლის.
ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი,
თორემ დინება წაგლეკს, გაგრიყავს,
სტიქიის რისხვას თუ გაექცევი,
რაღას დააკლებ ცხოვრების გრიგალს.
უტეხის რწმენით შენ არ წაწყდები,
დააცხრობ ღელვას, დათრგუნავ ქარებს,
სად თანაგრძნობა ვერას გახდება,
იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს.

მერაბ კოსტავა

მწარსათქმელი „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის...”

დ. გურამიშვილი

რა დრო დადგა, ვაი, ნანა,
ყოფის ფასი გახდა გროში,
ანტიქრისტემ დაივანა
ქართველების სამკვიდროში.
ნეტავ, რად არ ლახვარს ღმერთი
მას, ვინც დასცა სვეტი ნათლის,
ვინც გაყიდა აფხაზეთი,
გაგვისხვისა შიდა ქართლი.
მსგავსად აღა-მაჰმად ხანის,
თბილისი ვინც ატიალეს,
ვინც კაენად ახალ ხანის
შეემატა მატიანეს.
ვინც ერს თავზე დაატეხა
სისხლისა და ცრემლის დელგმა,
საეგრისო ვისმა ფეხმაც
ხუთგზის გათელ-გადაჯეგა.
ვინც ძმათა კვლით დაიხარჯა
და მოხვეტა დავლა მეტი,
სამართალი ვისაც დარჩა,
მთავრობაც და პარლამენტიც...
ღვთისმშობელო, დაგვხსენ ურვას,
დაგვაფარე კალთა შენი,
სანამ სულ არ დავქცეულვართ,
სანამ სულ არ გადავშენდით!..
ძალმოსილს ვერ გავხარ მხარეს,
ვაჰ, მამულო გძალავს ბედი,
სამარეშიც ვახარხარებთ
თემურ ლენგს და ჯალალედინს.
ქრისტესავით ჯვარზე ევნე,
ჯავრს პურად ჭამ, იხმევ ვარამს,
გაუძლებ კი, შემოგევლე?
დაუსხლტები ღამეს, წკვარამს?
ვით აღიდგენ ძველ დიდებას,
აკლებულო, დაკლებულო,
უფრსკულისკენ გეზიდება
მკრეხელ შვილთა საკრებულო...
ერთი ლაღობს, ათასს შია,
კაცის ფასიც გახდა გროში,
ავსულების შაბაშია
ქართველების სამკვიდროში...

ასლან კორძაია

წმინდა დედათა ტრიადა:

ნინო



თამარი



ქეთევანი

ილიას სიბრძნე

* არამც-თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებულის კაცისათვის.
* ბაძით ქვეყანა წახდებაო.
* ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა.
* დროზე ნახმარი ფარიცა, იგივე ხმალი არისო.
* ერი, ერის ღვაწლის დამდები ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულოვნებით, ერთგულებით ძლიერია.
* ენის კანონმდებელი ხალხია.
* ერის სიბერე ერის აღგვაა, დედამიწის ზურგიდან.

ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი.

* ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი.
* ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი-კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ.
* კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია.
* კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს: ერთი აქ დასარჩენი და მეორე თან წასაყოლი.

ჩემი სულიერი მეგობრისა და თანამოაზრის, არქიტექტორ მურზაყან (ამური) ფხაკაძის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი ამ ნაშრომს.

ავტორი

მზის შვილები

რევაზ ერისთავი

„თუ თქვენ გეუბნებიან საიდან დაიბადეთ? — უთხარით: ჩვენ დავიბადეთ სინათლისაგან, იქ სადაც თვით სინათლე დაიბადა. თუ თქვენ გეუბნებიან ვინ ხართ? — უთხარით: ჩვენ მისი შვილები ვართ და ჩვენ რჩეული ვართ მამისა, რომელიც ცოცხალია.“

იესო ქრისტეს

სიტყვები თომა აპოკრიფული სახარებიდან.

პროლოგის მაგიერ

ყვრანგი განმანათლებელი დენი დიდრო ამბობდა, რომ ჭეშმარიტებისათვის ნამდვილი ტრიუმფია, რომელსაც მას ცოტანი, მაგრამ ღირსეულნი იზიარებენ. ყველაფრისათვის მოსაწონად გახდომა მისი ხვედრი არ არისო.

წინამდებარე ნაშრომი „მზის შვილები“ საყოველთაოდ ცნობილი აღდგომის კუნძულის საოცრებათა შესახებ არის შექმნილი. მასში განხილულია ამ კუნძულზე პირველი ცივილიზებული ხალხის მოსვლა და მასთან დასაკავშირებელი საკითხები.

თითქოს ათი წელიწადი მოვანდომე აღნიშნული ნაშრომის შექმნას (ოცი წელიწადი მასალების შეგროვებას), მაგრამ მისი გამოქვეყნება ამ პერიოდში ვერ მოვახერხე. მასზე მუშაობა მატერიალისტური იდეოლოგიის პერიოდში დავიწყე, რის დროსაც ეზოთერული ცოდნის სისტემა უარყოფილი იყო. მაშინდელი იდეოლოგია კრძალავდა მცირერიცხოვან ერების ისტორიის საკითხების წინა პლანზე წამოწევას და მათ შესახებ გაბედული აზრების გამოთქმას.

მატერიალისტურად განწყობილმა მეცნიერთა მრავალათასიანთა „არმიამ“ ერთი ხელის მოსმით დაგმანა რელიგიურ-იდეალისტური მეცნიერების ყველა კარი. მათ სახალხოდ განაცხადეს, რომ იდეალისტური ანთროპოლოგია ვერ იძლევა ადამიანების ფილოსოფიური პრობლემების სწორ გადაწყვეტასო, მაგრამ როცა ამ იდეოლოგიამ კრახი განიცადა, მეცნიერთა ამ ურიცხვმა ლაშქარმა, ქამელეონივით ფერი იცვალა და მათ მიერ, უკვე შერისხული, იდეალისტურ მსოფლმხედველობის სამსახურს დაექვემდებარებოდა. ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში მე მიმოწერა მქონდა მსოფლიოს პრესტიჟულ ცენტრებთან და ბიბლიოთეკებთან. წერილობით შეკითხვებს ვუგზავნიდი ცნობილ სწავლულებსა და მკლევარებს. ასევე მათგანაც ვღებულობდი შესაბამის პასუხებს. ამ პასუხებიდან გამომდინარე მე ვგრძნობდი, რომ ჩემი შეხედულებები და მოსაზრებები თანამედროვე მეცნიერების დოგმებში ვერ თავსდებოდნენ. თითქოს და ჩემი აზრები პარადოქსული იყო. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობდა რომ, თეოსოფიურ-იდეალისტური ანთროპოლოგიის მორევში ვიყავი ჩაძირული და იქიდან თავის დაღწევას ვერ ვახერხებდი, მაგრამ ღრმად ვიყავი დარწმუნებული მაგაში, რომ ჩემს მიერ აქ წამოყენებულ ჰიპოთეზასა თუ ვერსიებს ფაქტობრივი მასალები უდევს საფუძვლად. მიტომ ვგრძნობ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩემი თვალსაზრისი გამართლდება და ისეთივე რეალური გახდება, როგორიც ჰენრიხ შლიმანის მიერ ტროას აღმოჩენა. ხომ გახსოვთ, როგორ გაანაწყენა მეცნიერული სამყარო ამ ამბავმა, პროფესიონალმა კომერსანტმა, არქეოლოგიის კლასიკური მეთოდების გამოყენების გარეშე, ცალ ხელში ჰომეროსისი „ილიადა“ დაიჭირა, მეორეში – ფულით სავსე ქისა, ჰომეროსის მითითებებს მიჰყვა, ცოტა მოთხარა და ეპოქის უდიდეს არქეოლოგიურ ძეგლსტროას მიაგნო. ასე ადვილად მიზნისათვის არავის მიუღწევია.

ამ ნაშრომის კრიტიკული შეფასება მომავლის საქმეა, რადგან ის რაც დღეს მეცნიერულად არ ჩაითვლება, ახლო მომავალში შეიძლება ფრიად მეცნიერული გახდეს. აღნიშნულზე XXI საუკუნე იტყვის თავის გადამწყვეტ სიტყვას, მანამდე კი ამ სფეროში, რომ იტყვიან, ჭექა-ქუხილზე უარესი სიჩუმეა გამეფებული.

აღნიშნული ნაშრომი ერთთავად ჰიპოთეზებითა და ვერსიებით არის წარმოდგენილი. ეს ჰიპოთეზები მატერიალისტური მსოფლმხედველობის ფარგლებს სცილდება და ზოგიერთს, შეიძლება მითადაც მოეჩვენოს, თუმცა რუსი აკადემიკოსი ა. ბელოპოლსკი ამბობს, რომ „თუ ჰიპოთეზა მტკიცდება — ეს საინტერესოა “.

ეს მოსაზრება მართლაც , რომ ყურადსაღებია. ყველა ჰიპოთეზა დღეისათვის მტკიცებადია, მაგრამ შეიძლება მოიძებნოს ისეთი ჰიპოთეზა თუ ვერსია რომელიც თანამედროვე მეცნიერულ დონეზე მართლაც არ მტკიცდებოდეს, მაგრამ აქ საგანგაშო არაფერია, გავა დრო და ეს თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები გზას დაუთმობენ ახალ, პროგრესულ შეხედულებებს. მაშინ კი ყველა ჰიპოთეზა და ვერსია უსათუოდ დამტკიცდება და საბოლოოდ თეორიად იქცევა. ამიტომ ჩვენი მოსაზრებებიც არ უნდა ჩათვალოთ სათუოდ. ანდა გვჯეროდეს, რომ ჰიპოთეზები და ვერსიები, როგორი კატეგორიისაც არ უნდა იყვნენ ისინი ეპოქალურად მაინც დამტკიცდებიან. ასეთია ღვთის კანონი!

შესაძლოა ბევრმა ვინმემ იკითხოს, თუ მე, როცა ამ ნაშრომს ვქმნიდი, რომელი წყაროებით ვსარგებლობდი, მე მათ მინდა უმორჩილესად მოვახსენო, რომ ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ჩემს ხელთ არავითარი წყაროები არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს მიერ აქ წამოყენებული ჰიპოთეზები და ვერსიები გარკვეული პერიოდის შემდეგ თვითონ იქნებიან წყაროები.

ამ ნაშრომში წამოყენებული მოსაზრებები ეხება იმ ხალხის მრავალსაუკუნოვან გზას, ვინც თავიანთი მიწა-წყალი კატაკლიზმებისა და კატასტროფების დროს იძულებით დატოვა და მთელ დედამიწაზე გაიფანტა.

ვინ იყო ეს ხალხი? ან საიდან წამოვიდნენ თავდაპირველად ისინი? ან რა ძალა ჰქონდათ, რომ ჯერ კიდევ უძველეს დროში, პატარა, მაგრამ სწრაფმავალი ხომალდებით მამაცურად სერავდნენ მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს და სადაც კი ისინი გამოჩნდებოდნენ, ყველგან ველური აბორიგენების პატივისცემას და ყურადრებას იმსახურებდნენ, რადგან ისინი ამ ხალხში ხედავდნენ თეთრკანიან ღმერთებსა და ბელადებს.

ეს ხალხი იყო იბერები!

კაცობრიობა ახლო მომავალში დაფიქრდება და მიხვდება, რომ იბერთა გლობალური ცივილიზაციის შესწავლა თანამედროვე სამყაროსთვის ისეთივე აუცილებელი და საჭიროა, როგორც წყალი და ჰაერი. ხომ გახსოვთ გენიალური ქართველი მეცნიერის, ნიკო მარის მიერ 1923 წლის 3 დეკემბერს, პარიზში გამართული საჯარო ლექციაზე წარმოთქმული სიტყვები:“ ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად, ვერც ერთი საკაცობრიო კულტურულ სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება. ”

ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში იძულებული გავხდი გამეკრიტიკებინა ის მეცნიერები და სწავლულები, რომელთა მცდარ ჰიპოთეზებსა და ვერსიებზე თვალის დახუჭვა და გვერდის ავლა ვერ შევძელი.

როდესაც ჩვენ ამ ნაშრომში ვაკრიტიკებთ მეცნიერთა ერთ ნაწილს, თავიანთი მცდარი შეხედულებების გამო, შეიძლება მკითხველმა დააყენოს საკითხი ჩემი ამ სფეროში კომპეტენტურობის შესახებ და იკითხოს, თუ მე რომელი საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელი ვარ ან რომელ სამეცნიერო ხარისხს ვფლობ. მინდა ასეთებს ვაუწყო, მე არც ერთი ზემოთ დასახელებული ტიტულის მფლობელი არ ვარ. მე მხოლოდ დასაბუთებულად ვაკრიტიკებ იმ მეცნიერებს, რომელთა აზროვნება ვერ სცდება მატერიალისტურ ყალიბებში მოქცეულ მეცნიერულ დოგმებს, რის გამოც ისინი აზროვნებენ სტანდარტულად და თანამედროვე პროგრესული განსჯის უნარს მოკლებულნი არიან. აბა, რა უნდა ვუწოდოთ, ან როგორი შეფასება უნდა მივცეთ ცნობილი რუსი ენათმეცნიერის, პროფესორისა და მწერლის ალექსი იუგოვის მოსაზრებას, რომელიც გამოქვეყნებულია რუსულ სოლიდურ ჟურნალში “ ტეხნიკა მოლოდიოჟში”(1975წ. №1, გვ. 61). მოგვყავს ციტატა აღნიშნული სტატიიდან, როგორც ეს დედანში სწერია რუსულ ენაზე Главенствующий герой “Илиады” Ахиллес, Не кто иной, как Русский, Товроскифский князь. Мы, Русские Являемся не только “Первонаследниками, Эллады” Через посредство Византии но и гораздо ранее возникновения самой Византии Мы, Русские А с нами вместе и славянство, Были соучастниками великой средиземноморской античной культуры…”

ამას სწერს ტიტულოვანი რუსი ენათმეცნიერი, პროფესორი და მწერალი. სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს. ბატონ იუგოვს ავიწყდება, რომ საერთოდ, რუსეთის ისტორია, ჩვენი წელთ აღიცხვით მე-X საუკუნის იქეთ, წყვდიადით არის მოცული და არავითარი ცნობები ისტორიას მის შესახებ არ მოუპოვებია.

ისე კი, ამ ნაშრომში, ჩემი პოზიციების გამაგრების მიზნით, ბევრი ცნობილი თუ ნაკლებადცნობილი მეცნიერის აზრებიც გამოვიყენე.

დასასრულს ავტორი დიდ მადლობას უხდის ქალბატონებს: შორენა ბაბიაშვილს, გულნაზი მაჩიტიძე და ნაზი ჭეიშვილს,, კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეს მიშიკო კუჭუხიძეს, ბატონებს გურამ და თამაზ კუჭუხიძეებს, ნაშრომის გამოცემის საქმეში უანგარო მეგობრული დახმარებისთვის.

ასევე, დიდ მადლობას ვუხდი ბატონ არჩილ ჩოგოვაძეს, გარეკანის კომპოზიციის შექმნისთვის და ბატონ გიორგი კანდელაკს ილუსტრაციების მხატვრობისათვის.

არ შემიძლია ტრადიცია რომ არ დავარღვიო და მადლობა არ გადავუხადო იმ პირებსაც, ვინც ამ ნაშრომის შექმნაში შეგნებულად ხელს მიშლიდნენ, რომ ისინი არა, მე ამ შრომატევად სამუშაოს ვერ დავასრულებდი. ყოველდღე მათ ჯიბრზე გავაკეთე.

„Dixi et animam levavi“ — „მე ვთქვი და შვება მივეცი სულს“

რევაზ ერისთავი
მაისი 1995 წელი

„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ დამოკიდებულებას და ამით წინ მიჰყავს მთელი მსოფლიოს ისტორია.

მსოფლიოს ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება“.

ჰეგელი

„დღეს რასის ზეიმია. რასიული თვალსაზრისი უნდა ბატონობდეს ყველგან და ყველაფერზე. ზეიმობს ქართული რასა, ქართული ჯიში, ქართული სისხლი. ქართულმა რასამ გადაარჩინა კაცობრიობა ადამიანის ჯიშის მოსპობისაგან. ქართული რასა რასიულ დახვეწილობას, სიწმინდის, კრისტალურობის სიმბოლოა და რა იქნებოდა ადამიანთა მოდგმა ამ რასის გარეშე”.

გრიგოლ რობაქიძე

აღდგომის კუნძული ჩვენი პლანეტის საოცრებათა არსენალის ყველაზე საინტერესო ობიექტს წარმოადგენს. ქვის გოლიათური ქანდაკებები, ხის ფირფიტებზე ამოკვეთილი, დღესაც გაუშიფრავი დამწერლობა ,,კოპაუ რონგო–რონგო“. ადგილობრივ მცხოვრებელთა თავისებური ზნე–ჩვეულებანი და ბევრი სხვა რამ, ორ საუკუნეზე მეტი ხანია თავსატეხს უჩენენ მეცნიერებს.

აღდგომის კუნძულის კვლევის სპეციფიკაცია ისეთია, რომ ყველა საიდუმლოს ამოხსნა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება. რაც უფრო ღრმად ვიჭრებით მისი კვლევის სფეროში, მით უფრო მეტ გადაუჭრელ პრობლემებს ვაწყდებით.

მართალია მე არასოდეს ვყოფილვარ აღდგომის კუნძულზე, მაგრამ სამაგიეროდ ჩემს სამუშაო მაგიდაზე დევს საკმაო რაოდენობის მასალები: წიგნები, სტატიები, ინფორმაციები, სამეცნიერო ექსპედიციის დღიურები და მონოგრაფები, რომლებშიც სხვადასხვა დროის ავტორები თანმიმდევრულად მოგვითხრობენ ყველა იმ საოცარი ფაქტების შესახებ, რომლებიც აღდგომის კუნძულთან არიან დაკავშირებულნი. მასალებში მრავლადაა ჩართული: ფერადი ილუსტრაციები, გეოგრაფიული და გეოლოგიური რუქები, სქემები, დიაგრამები და სხვა მრავალი. როდესაც ამ მასალებს ვსწავლობდი, ჩემს წინაშე ბევრი ისეთი საკითხი წამოიჭრა, რომელიც სწავლულთა თვალთახედვის მიღმა დარჩენილიყო. ისეთი კომპეტენტური მკვლევარიც კი, როგორიცაა ნორვეგეული მოგზაური ტურ ჰეიერდალი, ბოლომდე ვერ ჩაწვდა აღდგომის კუნძულის ბევრ საიდუმლოს და თავის ცნობილ წიგნში „აკუ-აკუ“ რომელიც აღნიშნულ კუნძულზე ხანგრძლივ ექპედიციას მიუძღვნა, მხოლოდ ფაქტობრივი მასალების მშრალი აღწერით შემოიფარგლა, ანალოგიურ სიტუაციაში მოექცნენ სხვა მეცნიერებიც .

აღდგომიდ კუნძულზე არსებული 600-მდე გოლიათური ქანდაკების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. მკლევართა უმეტესობამ დეტალური ცნობები მოგვცა ქვის კერპების შესახებ. მათ გაიანგარიშეს და გაზომეს გოლიათების პარამეტრები, მაგრამ ვერა და ვერ ახსნეს ძირითადი-რომელი მოდგმის ხალხის ტიპებია ქანდაკებებში გამოსახული. ასევე ვერ გასცეს პასუხი იმას, თუ რატომ აქვთ ქვის კერპებს საოცრად გრძელი ყურები და რატომ იგრძელებდნენ ქანდაკებების მსგავსად ყურებს კუნძულელების ერთი ნაწილი.

მსგავსი პრობლემები აღდგომის კუნძულზე ძალზე ბევრია ამიტომაც იყო, რომ ჩვენ ამ პრობლემების შესახებ ჩვენი შეხედულებები შევიმუშავეთ და მათი გადაწყვეტის ახლებური გზები წამოვაყენეთ.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ჩვენს ჰიპოთეზებსა და ვერსიებზე, თავდაპირველად მოკლე ექსკურსი უნდა გავაკეთოთ აღდგომის კუნძულის ისტორიაში.

* * *

ცივილიზებულ სამყაროსგან ძალზე შორს, წყნარი ოკეანის გაცხოველებული საზღვაო გზების მიღმა, დასავლეთ გრძედის 109 30’ 41” და სამხრეთ განედის 27 09’, 23” მდებარეობს ვულკანური წარმოშობის პატარა კუნძული, რომელიც თანამედროვე გეოგრაფიულ ატლასებში და რუქებზე მოიხსენიება აღდგომის კუნძულის სახელით. ადგილობრივი მცხოვრებლები, თავიანთ ენაზე, მას რაპანუის უწოდებენ (დიდი კლდე), ხოლო პრეისტორიულ თქმულებებსა და ლეგენდებში მას ეწოდება ტე პიტო ო-ტე-ხენუა (დედამიწის ჭიპი). მისი ფართობი 169 კვ. კმ-ია, სანაპიროების საერთო სიგრძე 58 კმ-ს არ აღემატება. წლის საშუალო ტემპერატურა – 20 C° ტოლია, ხოლო ყველაზე მაღალი ადგილია, ვულკანური წარმოშობის მთა, ტერეავაკა, ანუ რანო არაი (507. 1 მ)

მიუხედავად სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან დიდი მანძილით დაშორებისა, (დაახლოებით 3500 მილი) აღდგომის კუნძული ჩილეს დედაქალაქის სანტიაგოს მუნიციპალურ ტერიტორიას მიეკუთვნება, კუნძულზე არის სკოლა, სასტუმრო, სამედიცინო პუნქტი და აეროპორტი მატავერი.* ეს უკანასკნელი რეგულარულად ღებულობს საკონტინენტთაშორისო ლაინერს, რომელსაც კუნძულზე ჩამოყავსტურისტები, და ჩამოაქვს ყოველდღიური მოხმარების საქონელი.

ევროპისათვის აღდგომის კუნძული პირველად ცნობილი გახდა 1737 წელს, როდესაც ლაიპციგში დაისტანბა წიგნი „მოგზაურობა

→ 10

დაიბადა 1928 წელს. დაამთავარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1952). საქართველოს მწერალთა კავშირის უძველესი მუშაკი (1952 წლიდან). ჩვენი მწერლების შემოქმედებით ცხოვრებაში მონაწილეობამ, ქართველი ერის ისტორიაში ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის მნიშვნელობის გათვალისწინებამ მიიყვანა XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების კვლევამდე, რის შედეგად გამოსცა წიგნები: „საქართველოს მწერალთა კავშირი. 1917-1982“ (1983), „წამების გზა“ (1999- 2005), „საბუთები ღაღადებენ“ (2007), „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი“.

დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“ (2003. 2. 03)

რეპრესირებული ოჯახის ისტორია

რევაზ კვერენჩხილაძე

(ნაწყვეტი)

დედა ბრუნდება. სამეგრელო

სკოლის დამთავრებამდე ორი წლით ადრე, 1945 წელს დაბრუნდა დედა.

ჩვენ არ ვიცოდით რამდენი წელი ჰქონდა მისჯილი. მასაც არ მოუწერია. პირიქით ყოველ წერილში (რამდენის მოწერის უფლება ეძლეოდა თვეში) გვამხნევებდა იმედით, რამდენიმე სიტყვით: ახლო მომავლში დავბრუნდები...

და ასე მიდიოდა წლები...

ერთი კოკათელი ქალი მარიამი მკითხაობდა. დრო და დრო ბებიაჩემი-ბიცოლაჩემი მოიწვევდნენ მას და ისიც ასე გვაიმედებდა: მარგალიტა აუცილებლად დაბრუნდებაო, თანაც მეტი დამაჯერებლობისთვის დააყოლებდა: ჭაკი ცხენი დამიძახეთ თუ ეს ასე არ მოხდესო...

1945 წელს დედაჩემს გადასახლებაში მძიმე ავადმყოფობა გადაუტანია. ემადლიერებოდა რუს ებრაელ ექიმ ქალს, რომელმაც გადამარჩინაო. ხალამპრე ანთაძის წყალობით მისთვის გაგზავნილი ლორის ნაჭრები დედას თურმე რამდენჯერმე იმ ექიმისთვის უწილადებია.

იმ ექიმის დასკვნამაც შეუწყო ხელი იმას, რომ დედაჩემს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს, განა ცოტა იყო შემთხვევა, როდესაც ადგილზევე "თავისუფლად " დასასახლებლად ტოვებდნენ?

გათავისუფლებისას ხდებოდა დაბრუნების ადგილის შერჩევა. იმ ქალაქში, სადაც დააპატიმრეს, არავის უშვებდნენ. თბილისში სადაც დედას თავისი და ეგულებოდა, სარეჟიმო ქალაქი იყო და აქ ვინ გააჭაჭანებდა. დედაჩემმა სამეგრელოში დაბრუნება არჩია-უფიქრია, თუ რამეს შევძლებ, ისევ და ისევ ჩემს მშობლიურ კუთხეს მოვახმარო.

ასე ითხოვა წალენჯიხაში გაგზავნა და არც შემცდარა. გურია თავს ერჩია, მაგრამ იქ რომ ჩასულიყო, ვიღაც უთუოდ დაასმენდა და ხელმეორედ გადაასახლებდნენ. თავად განსაჯეთ- როცა დედას ილიკო ბიძიამ და მე, ჯარიდან ახალდაბრუნებული ჩემი მამიდაშვილის შაქრო გაბეჩავასგან ნათხოვარ ფარაჯაში გამოწყობილმა, გურიიდან ზამთარში სამეგრელოში ჩავაკითხეთ და მერე დედა გურიაში, ხორეთში ჩამოვიდა, — მას რომ არ შეფეთებოდა და გამარჯობა არ ეთქვა, შარაგზის მეორე მხარეს გადავიდა ის კაცი, რომელსაც ჩვენს ოჯახში ბევრჯერ უქეიფია...

(ამავე დროს, ისევ უნდა ვთქვა, ისიც ფაქტია, არ მახსოვს ვინმეს, მასწავლებელს თუ მოსწავლეს, ან სოფლელს ჩემთვის ეგრძნობინოს ტროცკისტის შვილი ხარო. ერთადერთ ხინჯად ჩამრჩა ზემოთ ნახსენები კოლმეურნობის თავმჯდომარის ნათქვამი-როგორ თუ „რაღაც“ პარტიული კრებაო).ხოლო სამეგრელოში... ტყუილად კი არ ამბობენ მეგრელებმა ერთმანეთის გატანა იციანო.

წალენჯიხაში ჩასული დედა სასტუმროში დაბინავდა. მისი ომში დაკარგული ძმის აქვსენტი მიქავას ცოლი და შვილები სულ ახლოს, სოფელ ობუჯში ცხოვრობდნენ, მაგრამ დედას არ უნდოდა დაბეჩავებულ-დაკნინებული ჩვენებოდა მათ. გარდა ამისა ის ხშირად შინსახკომში უნდა გამოცხადებულიყო!..

შიმშილითა და ბანაკის მძიმე ცხოვრებით იმდენად გამოფიტული იყო საწყალი დედაჩემი, რომ სასტუმროდან გამოსულს ხშირად მხარი აქცევია უკან გასაბრუნებელ გზას ვერ ვაგნებდიო. შინსახკომის განყოფილების უფროსმა რომ უსმინა და გაიგო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო, უთხრა: ქალბატონო მარგალიტა, სამხედრო კომისარიატში რუსული ენის მცოდნე ესჭიროებათ. იქ მოგაწყობთ, ამ შიმშილობის დროს კარგი ულუფაც გექნებათო.

დედამ დიდი მადლობა გადაუხადა, მაგრამ მე ისე ვარ გამოფიტული, ახალი საქმის ათვისება გამიჭირდება, ძველი მეხსიერებით ისევ და ისევ მასწავლებლობას თუ შევძლებო.

შინსახკომის უფროსმა იმ წუთშივე დაურეკა რაიონის განათლების განყოფილების გამგეს: გიგზავნით კარგ სპეციალისტს, გაკვეთილებითაც დატვირთეთ და ბინითაც უზრუნველყავითო.

ხელადვე (1946.20.VIII) მოაწყვეს წალენჯიხის ჩაის მეურნეობის სკოლაში. თურმე დედას დღესაც კეთილად იხსენებს იქაური ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ელენე ჭეიშვილი.

შემდეგ, ცოტა სული რომ მოითქვა. დედა გადავიდა მშობლიურ სოფლის ობუჯის სკოლაში, სადაც ასევე პატივისცემით იყო გარემოსილი. იქ 1947 წლის 20 აგვისტოდან 1950/51 სასწავლო წლის დასრულებამდე მუშაობდა.

უფრო საოცარი ისაა, რომ მასწავლებელთა თუ სოფლელთა მიერ გამართულ პურმარილზე, რაზეც ხშირად რაიონის ხელმძღვანელებსაც იწვევდნენ, უამრავი ხალხის გასაგონად შინსახკომის განყოფილების უფროსს თუ განათლების განყოფილების გამგეს ასე უდღეგძელებიათ დედაჩემი:

„ქალბატონო მარგალიტა, თქვენ რომ გაგეხარდებათ, ისე დაგბრუნებოდეთ თქვენი ქმარი და შვილებიო...“

ამ დროს ეს ქმარი „ხალხის მოღალატედ“, „ტროცკისტად“ — ითვლებოდა, შვილები კი ამ „მოღალატის“ შვილები იყვნენ...

ვწუხვარ, მეხსიერებამ ამ კეთილი ხალხის გვარები მთლად მყარად ვერ შემოინახა. ამიტომ დასაზუსტებლად ჩემს ბიძაშვილებს შურა (ცაცი) და შურგული მიქავებს (სამწუხაროდ, დღეს არცერთი აღარაა ცოცხალი, აღარც ნათელა, აღარც ვახუშტი) ვთხოვე ობუჯში ეკითხათ იმათთვის, ვისაც დედა ახსოვდა. აქ მომყავს ადგილები ბატონ არველოდი ლაგვილავას წერილიდან, საიდანაც ჩანს ვინ იყვნენ ის კეთილი ადამიანები, ვინც გადასახლების მძიმე ცხოვრება გადატანილ, ქმრისა და ორი ვაჟკაცის დამკარგავ დედაჩემს უმსუბუქებდა:

„ბატონო რეზო, რაც შემეძლო მოვინდომე, წალენჯიხაში წავედი გავიგე იმ პერიოდში ვინ იყვნენ შინსახკომში, განათლებაში და ა.შ.

1945-1946 წლებში წალენჯიხის შინსახკომის უფროსი ყოფილა დათიკო ბოჯგუა (სენაკის რაიონიდან), ხოლო მილიციის უფროსი — ჯერ ლავრენტი (ლაუ) კალანდია, მერე ივანე შონია. განათლების განყოფილების გამგე ვანო კაკაჩია, შემდეგ — ვარლამ ბელქანია.

რაც შეეხება სკოლაში დედათქვენთან კეთილგანწყობილებს, მის მიმართ ყველა კეთილად იყო განწყობილი. ქალბატონი მარგალიტა ყველას მიმართ თბილი და კეთილი იყო, ყველას დამრიგებელი და მრჩეველი. მას ვერავინ აკადრებდა აუგს, თვით დირექტორებიც კი განსაკუთრებით პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ყველაფერში უყვარდა დისციპლინა და წესრიგი, ყველაფერში პასუხისმგებლური დამოკიდებულება. მისი საუბარი იყო დამაჯერებელი. ხშირად იგონებდა გადასახლების წლებს, იმ გადატანილ მძიმე ცხოვრებას, ყვებოდა თავისი ქმრის კასიანეს შესახებ. მაგრამ არასოდეს აძაგებდა სტალინს. არ ვიცი ეს შიშით იყო გამოწვეული თუ ნამდვილად ასე ჰქონდა გულში. თავის ოჯახურ უბედურებაში ადანაშაულებდა მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლებას.

სკოლაში სხვებზე მეტად იყო დაახლოებული ფუფუული და ფოთო ლაგვილავებთან. ფოთო გამორჩევით უყვარდა. მათ შორის დამოკიდებულება იყო ნამდვილად დედაშვილური. ზაფხულის არდადაგების დროს გურიაშიც დაყავდა იგი. კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მასწავლებლებთან: გრიშა ფიფიასთან, ალექსანდრე სონგულიასთან, ვერა ჯალაღონისთან, ვერა, ლენა და გოგოლა სონგულიებთან და საერთოდ ყველასთან, მაგრამ ჩამოთვლილებთან უოფრო შინაურული, გულახდილი და თავისუფალი იყო. მათთან თავს ისე გრძნობდა, როგორც ნათესავთან და ახლობელთან, მეგობრებთან იგრძნობს კაცი.

მეტი რა მოგწეროთ. მარგალიტა იყო სამაგალითო ყველასათვის, ქართველი ქალის, ქართველი დედის განსხიერება. მას ამჟამადაც დიდი პატივისცემით იხსენებენ, როგორც კოლეგები ასევე ყოფილი მოსწავლეები.

პატივისცემით არველოდ ლაგვილავა 17.I.2000წ.

მინაწერი: „ობუჯის საშვალო სკოლის დირექტორები იმ დროს ყოფილან ნიკო კვარაცხელია და კუჭუჭი ნაჭყებია. მარგალიტას დედაშვილურ დამოკიდებულებას გრძნობდნენო არამარტო მასწავლებლები არამედ მისი მოსწავლეებიც: მარგო ფონიავა, ვაჟა შენგელია, მერი მესხია, გენო სონგულია, როინ მესხია, ვასო ლომაია, ხუშუტი კაკაჩია ...“

დიდი მადლობა ბატონ არველოდის და მის წერილში მოხსენებულ ყველა ობუჯელს, წალენჯიხელს... მათი ადამიანობისათვის, კეთილი გულისათვის, ცხადია ბატონი არველოდი ყველას ვერ ჩამოთვლიდა, ვინც დედაჩემს სითბო აგრძნობინა, მე მინდა ყველას მადლობა ვუთხრა, მათ შორის ბატონ ნაპოლეონ ლემონჯავას...

არც დედის მოსწავლის კარლო კაკაჩიას და დედამისის გაუხსენებლობა ივარგებს- დედა ხომ ქალბატონ ოლღას მდგმური იყო, ამ ოჯახის სითბო მეც განვიცადე, როდესაც სტუდენტობისას ზამთრის არდადეგები იქ გავატარე...

სხვათაშორის, ობუჯის სკოლის ხელმძღვანელობას დედაჩემისთვის შეუთავაზებიან — თქვენი ვაჟი ჩვენს სკოლაში გადმოიყვანეთო, თქმა არ უნდა, დედას ენდომებოდა შვილის გვერდზე ყოლა, მაგრამ ჩოჩხათის სკოლამ უარი თქვა წარმატებულ მოსწავლეს ვერ დავთმობთო...

იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილი, მოსკოვის ფელიქს ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიის მსმენელი 1939 წელი

ციხეში ნაპერწკალი

ბეჭან ჯაფარიძე, მიხეილ ოკუჯავა

(დასასრული, დასაწყისი იხ. „ნოჯიხური №17.18.2009“)

* * *

ურსულა შვარცის დღიურიდან

7 აგვისტო, 1941 წელი

რა დიდი ბუნებისაა იაკობი, ნუთუ მიყვარს იგი, ქართული ცეცხლი მხურვალე და მათრობელა ყოფილა, ჩემი გერმანული ყინული არათუ გაადნო, ააორთქლა და გააცამტვერა, საინტერესოა, წუხელ მისი ცოლი გავხდი თუ მხოლოდ გესტაპოს დავალება შევასრულე?! თუ პატარა ქართველი მიზის უკვე სხეულში, მე მას არ მოვკლავ, მითუმეტეს, რასობრივი კანონი ქართველებზე ქორწინებას არ გვიკრძალავს. მოუთმენლად ველი ზეგინდელ დღეს, რატომ ველი ასე, მე ხომ არ მინდოდა ამ დავალებაზე წამოსვლა, ახლა რა მეწევა იქით, მოვალეობა და დავალება პარტიისა თუ, თუ... შესანიშნავი იაკობი?

9 აგვისტო, 1944 წელი

გუშინ მე და მამა შევლაპარაკდით. იგი მარწმუნებდა, რომ მე პარტიისა და სამშობლოს დავალება უნდა შემესრულებინა მხოლოდ. სადაც სამშობლოს ინტერესებია იქ გრძნობებს ხელი არა აქვსო, რა იცის ღვინის ვაჭარმა გრძნობებისა. იაკობთან მიმაქვს ორი ბოთლი განთქმული ბურგუნდიული და ნამდვილი ფრანგული კონიაკი...

დღეს ახალი თემაც მიმაქვს მისთვის, ახალი პროგრამა მომცეს, საქართველოს განთავისუფლება, ეს უნდა იყოს ჩვენი საუბრის თემა. იაკობი კეთილი ღიმილით შემხვდა, ხელზე მაკოცა და ნობათისათვის დიდი მადლობა გადამიხადა. აღარ ვეზიზღები, ჩემმა გულახდილობამ და ფერფლის გადაყლაპვამ მოინადირა მისი გული, მოღუშული აღარ მიტევს. იმ დღეს ჩვენი პაექრობა მოჩვენებითი იყო, მაგრამ მისი ლოგიკა სამართებელივით ჭრიდა. წამოვედი დილით და საკმაო ხანს მოვუნდი იმის გარკვევას, რომ მან გაიმარჯვა ჩემზე.

ხვალ კიოლნში მივდივარ დავალებით და ალბათ ერთ კვირას ვეღარ ვნახავ მას. გული მეკუმშება.

აგვისტო, 1941 წელი

ჩვენი ჯარები სულ უფრო და უფრო მიიწევენ საბჭოეთის სიღრმეში, ალბათ იაკობი ცუდ გუნებაზე დამხვდება, მაგრამ იქნებ ცოტათი მაინც გავახარო, კიოლნის რადიოში შესანიშნავი ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერები ვნახე, შეკვეთა მივეცი და გავავსებინე თითქმის ორსაათიანი ბაბინა. რა არაჩვეულებრივი საგალობელი ჰქონიათ ქართველებს!

ცოდნა საქართველოზე ცოტათი შევივსე. მართალია, მცირეა, მაგრამ ცოტათი ვიცნობ ილია ჭავჭავაძის პოეზიას და პროზას. ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელს“ და ალექსანდრე ყაზბეგის პროზა, აღმოჩენაა ჩემთვის, თურმე მათი შესანიშნავი გერმანული თარგმანები არსებობს, მინდა დავარწმუნო იაკობი, იქნებ შეძლოს და ნაწილობრივ მაინც დაემორჩილოს იმ გეგმას, რომელიც შეიმუშავა მესამე რაიხმა. უნდათ სიტყვით გამოიყვანონ მესერშმიდტის ქარხნის მუშათა მიტინგზე. იქნებ გადავარჩინო, ვინ იცის, რა მოხდება, ფიურერის გამარჯვებისა მეც მეეჭვება.

4 სექტემბერი, 1941 წელი

ორ კვირაზე მეტია იაკობი არ მინახავს, შტანდარტენფიურერის რუდოლფ რანკეს წვრილ-წვრილ დავალებაში რაიმე შეცდომა დავუშვი და აღარ მენდობიან? ორსულად ვარ, ბარონმა გამომიძახა და რაღაც დავალება მომცა, არც გამიგია, გულის რევა დამეწყო. ბარონის ბრძანებით ლიმონიანი წყალი დამალევინეს და ცოტა გადამიარა. ბარონს გულის ფანცქალით აბორტის უფლება ვთხოვე. მან გადაიხარხარა და მითხრა, რომ მესამე რაიხი ფრიად ნასიამოვნებია ამ აბით და მან მხარზე ხელი მომითათუნა და მითხრა, რომ რაიხსფიურერი დიდად დააფასებს ჩემს თავდადებას. რატომღაც გულზე მომეშვა. ალბათ მალე ისევ ვნახავ იაკობს. ნეტავ ხომ არ მიმასწრო ამ ხნის განმავლობაში იქ „მამაჩემმა“, ზიგფრიდ მაიერმა, როგორ არ მომწონს ეს შემპარავი მანერების მქონე ქლესა. რა შემიძლია იაკობისთვის გავაკეთო იმის გარდა, რომ დავარწმუნო სიცოცხლე შეინარჩუნოს როგორმე. ვინ იცის, რა მოხდება, იქნებ გადარჩეს, მაგრამ როგორ?! ისეთი მასალისაგანაა ჩამოსხმული, მოღალატეობას არ იკადრებს. რაიხმა ზოგი ქართველი ტყვეობისაგან ნაძალადევად და ზოგი ემიგრანტებისგან საქართველოს ეგრეთ წოდებული „ნაციონალური ბატალიონი“ შექმნა, შეიძლება იქ წასვლა და ამ ბატალიონში ჩარიცხვა მოთხოვონ. ვიღაც ბაგრატიონი გამოუნახავთ და საქართველოს „სამეფო ტახტზე“ უპირებენ დასმას. სასაცილოა ნეტავ თუ იცის იაკობმა ეს. საიდან ეცოდინება, მე უნდა ვუთხრა, მაგრამ როგორ? დავწერ და ისე მივუტან.

11 დეკემბერი, 1942 წელი

ხუთი თვის ორსული ვარ, ედმონდის პარტნიორი ფრიცი გაათავისუფლეს და მისი ფუნქციები მე დამეკისრა. ნამდვილი სალაპარაკო რაც გვქვს ხოლმე მე და იაკობს, ღამით რომ ვწევართ, ყურში ვუჩურჩულებთ ერთმანეთს. რა წამებაა, ღამის პერანგში ჩამალული პორტატიული მაგნიტოფონისათვის ცალკე ვლაპარაკობთ, რომ პატარა ღილისხელა ბაბინა გაივსოს გესტაფოსათვის, მთელი ბაბინა დილით ედმონდს მიაქვს ხოლმე და ახალს მიტოვებს. ფეხები მისივდება, ვხედავ იაკობი დარდობს ჩემს მდგომარეობას, რომ არ დავორსულებულიყავი, გამომცვლიდნენ და სხვას მიუგზავნიდა გესტაპო. ამას ჩვენ ორივენი მივხვდით და დავყევით ამ ავანტიურაზე გესტაპოს. მივხვდით ორივე იმასაც, რომ შემდეგ გესტაპოს ბავშვის საშუალებით უნდა იერიშზე გადასვლა ამ საცოდავი კაცის წინააღმდეგ და კანიბალური საშუალებებით მისი მოტეხა. მე, მე რა მეშველება მე უბედურს, ღმერთო, რა მოვიმოქმედო. დედა დადის ჩვენთან ხშირად, მეც მივდივარ ხოლმე მამის სახლში, დედას სასტიკი გაფრთხილება მისცეს, რომ ზიგფრიდ მაიერის ცოლის როლი ითამაშოს, ისიც თამაშობს საწყალი და ასე განსაჯეთ, საკმაოდ კარგადაც. საშინლად უნიჭოა ზიგფრიდი მამაჩემისა და დედაჩემის ქმრის როლში, ღამით მე და იაკობი მარტო, რომ ვრჩებით ხოლმე, ამ ოინბაზობაზე ბევრს ვიცინით ჩუმად. იაკობის თხოვნით იატაკქვეშეთში მყოფ გერმანელ კომუნისტებს მინდა დავუკავშირდე, იქნებ როგორმე მოვახერხო საბჭოთა დაზვერვასთან დაკავშირებაც.

22 დეკემბერი, 1941 წელი

დღეს იაკობი ცუდ გუნებაზე დამიხვდა, თვალებიც დაწითლებული ჰქონდა, მე ორი დღე მშობლების სახლში ვიყავი. ნუთუ იტირა იაკობმა? ყავა მოვადუღე და სუფრასთან რომ დავსხედით, დიდხანს დუმდა. შემდეგ ჩავარდნილი ხმით დაიწყო ლაპარაკი:

— ღვინო და ბუტერბროდი მომიტანეთ, მარტა, არ მინდა ყავა!

— შემაშინა მისმა ხმამ, ავდექი და ერთი ბოთლი ბურგუნდული მოვიტანე. იაკობმა ისეთი მუდარით შემომხედა, გული ჩამწყდა.

— იქნებ ქართული საფერავი გვაქვს კიდევ, მარტა, ღვთის გულისათვის!

— გვაქვს საფერავი, ორი ბოთლი, კი, როგორ არა. იაკობ ხომ არაფერი მოხდა ჩემი აქ არ ყოფნის დროს, ედმონდმა ხომ არ გაწყენინათ რამე?

— არა, ჩემო მარტა, ქართული ღვინო მინდა დავლიოთ ერთი — ორი ჭიქა დღეს.

— მეც იქნებ ღონეზე მომიყვანოს თქვენმა ღვინომ, იაკობ.

— მან საფერავის ბოთლი გახსნა, მე ერბოკვერცხი შევწვი ღორის ხორცით და ხელახლა მივუსხედით სუფრას.

— ჩვენი ჯარების მიერ ყოველი ქალაქისა თუ დაბის დატოვება თითო ძარღვს წყვეტს ჩემს გულში, მარტა, მაგრამ მჯერა, რომ ეს დროებითი ამბავია. — მას თვალებში მოენისლა, ღვინის ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, ცოტახანს გაჩუმდა. შემდეგ თითქოს ჩურჩულით, წარმოთქვა: — ჩემს მამას გაუმარჯოს, ფრაუ მარტა, ის დღს 62 წლისა გახდა!

— იაკობს მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე ჯერ ერთ მხარეს, მერე მეორე მხარეს. გავშრი, კიდევ გავიგონე მისი ჩურჩული:

— არ ააშორო გამარჯვება ჩემს ხალხს და საბჭოთა ქვეყნის დროშებს, ღმერთო!

27 ოქტომბერი, 1942 წელი

რუდოლფ რანკემ უფლება მომცა უკვე ხუთი თვის ირაკლი პირველად მეჩვენებინა იაკობისათვის. მშობიარობის შემდეგ ერთხელ შევხვდი მას , ჩემს მაგივრად ისევ ფრიცი დააბრუნეს თავის ადგილზე. ვხვდები რომ მე და ექვსი თვის ირაკლი ახლა მახე ვართ იაკობისათვის. დღეის შემდეგ ალბათ კონკრეტულად მოსთხოვენ, რა უნდათ მისგან. რა მოხდება არ ვიცი... იაკობმა დიდხანს უყურა ირაკლის, მერე ხელში აიყვანა, აკოცა და მის პატარა მკერდში ჩარგო თავი. კარგა ხანს იყო ასე, როდესაც მოუთათუნა ხელი და გაუცინა, მერე მლაშე ხელი პირში ჩადო. მე ორივეს მოვეხვიე და ავტირდი.

30 ნოემბერი, 1942 წელი

იაკობი გახარებულია, ფაშისტები გაცოფებულნი არიან. სტალინგრადთან გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. მე და ირაკლი სამი დღეა იაკობთან ვართ. ის სიხარულისაგან ადგილს ვერ პოულობს, იაკობს უკვე მისცეს წინადადება ქარხნის მიტინგზე გამოსვლისა. ფრიად გაკვირვებული დავრჩი, იაკობმა საკმაოდ უდარდელი თანხმობა განაცხადა და “სიმამრთან” შეხვედრა ინება.მე ვნერვიულობდი, მაგრამ დამამშვიდა. აი, მისი სიტყვები, მაშინ ვერ მივხვდი შინ რატომ თქვა ეს, ახლა კი ვხვდები, ღმერთო, რა მოხდება:

— მე ახლა ისეთ სიტუაციაში ვარ, მარტა, როგორც ერთ დროს რომაელი კონსული იყო, რომელიც უკვე თითქმის სავსებით დამარცხებული, რომაელების სახელით ელაპარაკებოდა გამარჯვებული ეტრუსკელთა ელჩიონს გავარვარებული მუხის ნაკვერცხლით ხელში. განსხვავება იმაშია, რომ მან ხელების წვა არ შეიმჩნია, მე კი გულის წვა არ უნდა შევიმჩნიო. გული ხელებზე უფრო მგრძნობიარეა, მარტა!

11 დეკემბერი, 1942 წელი

ჩვენი ჯარები მოსკოვისაკენ გაიჭრნენ. გააფთრებული ბრძოლებია საბჭოეთის დედაქალაქის მიმართულებით, საშინლადაა მესამე რაიხი გამწარებული. მათმა ელვისებური ომის გეგმამ კრახი განიცადა.

18 დეკემბერი, 1942 წელი

იაპონიის ომში ჩაბმის იმედი ჩაეფუშა მესამე რაიხს, რითი შებოჭა სტალინის დიპლომატიამ იაპონია, არავინ იცის, კვანტუნის არმია ფეხს არ იცვლის ადგილიდან. გერმანიის ბომბდამშენი ავიაციისათვის თითქმის მიუწვდომელი გახდა საბჭოეთის აღმოსავლეთსა და სამხრეთში გადატანილი სამხედრო მრეწველობა. მოკავშირეების ავიაცია ხშირად ბომბავს ბერლინს, მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი მატულობს, მოიშალა წყალმომარაგება და კანალიზაცია. ზოგიერთ ქუჩაზე შეუძლებელია გავლა. იკლო რუსეთიდან სურსათის მოწოდებამაც. იქნებ მაინც დადგეს ისეთი დრო, რომ ირაკლი ბედნიერი იყოს! ღმერთო! უშველე მასაც და მამამისსაც!..

. . . . . .

ჩემი დღევანდელი დღე ბოდვას ჰგავს.

20 დეკემბერი, 1942წელი

დღეს მესერშმიტდის ქარხნის მიტინგზე გამოდის იაკობი, რუდოლფ რანკემ გამომიძახა, მომეფერა და მითხრა, რომ ჩემთვის და ირაკლისთვის პირველ რიგშია გამოყოფილი შუა ადგილი. მესმის, ბავშვით უნდა იმოქმედონ იაკობზე. თითქმის ორი კვირაა არ გვინახავს მე და ირაკლის იგი. მიტინგზე შევხვდებით ალბათ. იაკობის გამოსვლაზეა დამოკიდებული ეყოლება თუ არა ირაკლის მამა.

11 იანვარი, 1943 წელი

იაკობი ზაქსენჰაუზენის ტყვეთა ბანაკში გადაიყვანეს.შევეცდები აღვადგინო 20 დეკემბრის ამბები.ქარხნის უამრავი მუშა-მოსამსახურე საამწყობო საამქროში შეყარეს. წინა რიგში სკამები იყო ჩამწკვრივებული პარტიულებისა და ესესელებისათვის. შუა სავარძელში მე და ირაკლი ჩაგვსვა „მამაჩემმა“, ზიგფრიდ მაიერმა. უზარმაზარი საამქროს ყველა კუთხეში რეპროდუქტორი იდგა, რეპროუქტორთა ხმას საამქროს ექოც აძლიერებდა. გული ამოვარდნაზე მაქვს, მარცხნივ დედა ზის, კალთაში ირაკლი უზის, მარჯვნივ-მაიერი. სამარისებული სიჩუმეა ამ უზარმაზარ შენობაში. ქარხნის ფაშისტური პარტიული ხელმძღვანელი, დირექტორი, მთავარი კონსტრუქტორი, შტანდარტენფიურერი რუდოლფ რანკე და ესესელები შემოდიან, შინაგანი ურჟოლა ვიგრძენი, როდესაც იაკობი დავინახე. მას შავი კოსტუმი, შავი პერანგი, შავი ლაკის ფეხსაცმელი ეცვა და შავი ჰალსტუხი ეკეთა. საოცრად გაფითრებული იყო.სიწყნარე ჩამოვარდა თითქოს მეხის მოლოდინში გაირინდა ეს უზრამაზარი აუდიტორია. საერთოდ ძალიან მოძრავი ირაკლიც კი გაჩერდა, მაგნიტოფონი ჩართეს და გამაძლიერებლებში გაისმა ზიგფრიდ მაიერისა და იაკობის საუბრის ფრაგმენტი:

— ჰერ იაკობ, როგორც კომუნისტი, თვლით თუ არა თქვენ

→ 8

ზანიკო ნაჭყებია-ლაგვილავა
დაბადების თარიღი — 1946 წ. 15 ივლისი,
ეროვნება — ქართველი, ჰოროსკოპი — სასწორი. საცხოვრებელი ადგილი — ზუგდიდი, ჩიქოვანის 41-ბ.50 და ყულიშკარი. მეგობრები — ძაღლი და კატა. წელიწადის საყვარელი თვე — აპრილი. ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე ვარ გამოუსწორებელი პესიმისტი. განათლება — კვების ტექნოლოგი, მხატვარი, ავტომოყვარული.
მყავს შვილი — მანუჩარ ლაგვილავა, რძალი და შვილიშვილები: სიცოცხლის ელექსირი მათე და მაგდა.
1974-76 წლებში კვალიფიკაცია გავიარე ქალაქ დრუჟკოვკაში. 1976 წლიდან 1995 წლამდე ვმუშაობდი ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში, მხატვრის სპეციალობაზე. ერთდროულად ვთანამშრომლობდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან. ჩემი ლექსების ნაწილი „მეგრელების გვარი“, „ჩემო ფერია“ გამოქვეყნებულია ძაძამიების წიგნში „ოდაბადე“ (2000წ.) ლექსებს ვწერ პირველი კლასიდან, გამაჩნია უამრავი ნამუშევარი.

სახლში

აქ ყველაფერი სხვაფერი გახდა
გადატრიალდა, სახლში ნივთები,
სულით ხორცამდე შემძრა იმ შიშმა
ჩვენთან არასდროს აღარ იქნები.
მთელი დღე-ღამე მაგაზე ფიქრმა
გამანადგურა დარდით ვიღლები,
და მაუწყებენ ზამთრის ჩიტები,
რომ არასოდეს არ დავბრუნდები.
მთელი სიცოცხლე მონატრებული
შენს მოგონებებს, მარტო ვუნდები.
საფლავი რაა, ნუგეშის მცემი
სიმწრით დაღლილი სახლში ვბრუნდები.
როგორ გახუნდა ცხოვრების გზები.
ბუნების ქომაგს, სტვენას ვუსმენდი.
აქ მირაჟები არ მასვენებენ
რომ შენ არასდროს არ დაბრუნდები.

9 აპრილი 9-წლის შემდეგ

9 –აპრილი,
9-წლის შემდეგ
და ოცდაცხრა სული.
რუსთაველზე მელანდება, სისხლი ფერგასული.
მიწავ ჩემო...
ცოდვილ
მიწავ,
შენს ნაწამებ
სახელს ვფიცავ,
თუ საჭირო გახდა კვლავაც,
ცოცხალ ზვარაკს შემოგწირავ.
სისხლო ჩემო..
სულო ჩემო...
უკვე ფერგასულო,
გაზაფხულზე კვირტის გაშლით
ისევ თქვენ გიხილავთ.
ვაზის კვირტი იღიმება ნინოს ჯვარის ჯიბრზე,
საქართველო?!
საქართველო,
არ მოკვდება აწერია ქიმზე.

პაატა ვახტანგის-ძე იზორიას (1968-1994)

პერსეფონე, რომ მოუწყვეს სამეგრელოს
მოახლოვდა, მოახლოვდა, ქალაქს ტროა...
ვაი ქართველს ეზიზღება ქართველები,
ერს, რომ ჰყიდის მისხალ-მისხალ ეს ის დროა.
კელაპტარი ბოღმას ანთხევს ცრემლის დელგმად,
მზეჭაბუკო, სულს გიმშვიდებს ათი მცნება;
ეგ სიკვდილი სიცოცხლე და სიმბოლოა —
შენი გზა ხომ უკვდავების გზა იქნება.
სამშობლოა, რომ გეძახის ერისკაცო
გიხმობს, გიხმობს ველ-მინდორი და ფშანები,
შეძრულია მამითადი, გლოვობს არე
გააქვთ ექო; რეკენ, რეკენ ყულს ზარები.
ოცდაექვსი საფეხური სულ ცოტაა...
ყვავილებმა უკვდავება გამოხატა
და შენს ნაგრამს დაუდგება სხვა ქრომოსი,
სულში ტეხვა, ჩაგვიტოვე ჩვენო პაატა.

ოგუჯი (1884-1963 წწ. ლეო ქიაჩელი)

აქ დაირწა ქიაჩელის აკვანი,
აქ მღეროდა იავნანას დედა,
აქ გაისმა ჭანისწყალის ხმაური
ორაგული და კალმახის დგაფუნი.
აქ იმკიდა ხალხი თავის მომავალს
აქ გრგვინავდა ცეცხლის ალზე სამჭედლო.
აქ შეირხა „ხუგეგ როკის“ ტოტები
კვალს ტოვებდა უჩარდიას ფლოქვები.
აქ სწირავდა ზვარაკს თემის სამრეკლო,
აქ დამარხეს, საშინელი დესპოტი.
აქ შეიკრა ქართველ ქალთა ლოცვანი
ქიაჩის ხატს! აგვაცილონ ხოცვანი.

ეს ჩემი ყულიშკარია

ეწერი დედულეთია, ძაძამიების გვარისა,
მაღალმთიანი სოფელი ჭკადუაშ ჩემი მამისა.
ზეცაში ნიავს ავყევი, ჰამაკი მახლდა ქარისა
ქვეყანა შემოვიარე, განათებული მთვარისა.
კაც ზვამბას დავემშვიდობე სამურზაყანო მხარისას,
თეთრი ცხენის კვალს გამოვყევ, მოშურნე ავის თვალისა,
წალენჯიხა და ობუჯი იყო მსგავსება ქარვისა.
ჯაღრაზე გადავინაცვლე ბარაქა იყო ვაზისა...
მამითგან ბებოს ხმა მესმა მებონიების ქალისა.
ავყნოსე მინდვრის ყვავილი, სურნელოვანი ბარისა,
ჯიხაშკარს თაყვანი ვეცი... „შემნახველ ერისკაცისა“...
ფიქრებში გართულს ათასჯერ, მე ამით დამინახია
ყულის ზარები ჩამესმა, წვიმა, თოვლი და დარია
ქორწილის დღე და ჯვრისწერა, ეს ჩემი ყულიშკარია
მზის სხივებს უხვად აქსოვებს, ეს ჩემი ყულიშკარია
და ბოლო წუთი სიცოცხლის ეს ჩემი ყულიშკარია.

აფხაზეთში დაბრუნება

სიცოცხლე ხანმოკლეა, დღეებია გრძელი,
ეს ქვეყანა ედემი და სამოთხეა ვრცელი.
ყვავილებით მოჩითულა გასაყარი გზები
სასრული და უსასრულო მზის სხივები მწველი.
წუთისოფლის ბინადარი და სიმართლის მთქმელი,
მისვლა-მოსვლა ზღვისპირეთში, გახდა ძლიერ ძნელი.
შუა ხიდზე გვიყენია ულმობელი მცველი
აქა-იქ შემორჩენილაგამჭვირვალე ჭერი.
უპატრონოდ მიგდებულა ჩვენი პაპის ქვევრი,
ობობას მოუქსოვია სახრჩობელა ქსელი.
იქნებ ღმერთი გამოგვიჩნდეს! ერთადერთი მხსნელი,
აფხაზეთში დაბრუნებას უეჭველად ველი.

გიორგი (გვანჯი) სიჭინავა
ლერსეფი

მა დუართი აიას

მი ვორდი დო სო პოფექ,
ასე ხოლო გურ მანგარც;
მა დუართი ჩქიმ ღობერც,
მა დუართი ჩქიმ ჯარგვალც.
კოც, დუდიში უბედურც
მუქ აღოლნ ქიმეჩის:
მა დუართი ჩქიმ ყებურც,
მა დუართ ჩქიმ ნერჩის.
უფერუა იმენდის,
ანწი მუჭო მიდინას...
მა დუართი ჩქიმ ბედის,
მა დუართი ჩქიმ რინას.
ოქროში ოკვანწაიას
მიდგაქ ოკონი მაძღირკას;
მა დუართი აიას,
მა დუართი ლაზიკას.

ნტერშა იზმას ვამოშქურ

მემიჩქნდა, ნანგარს ქოგ
ათე ჩქიმი ობირეში,
ნტერშა იზმას ვამოშქურ,
შიში მიღუ მოჯგირეში.
ამდღარ დღაშა, ირიათო,
ლმა ცოფე ოდიშის,
ნტერიში ყამა გურც მუმოგ,
მოჯგირეში – ოჭიშის.
ეშმაკი დო მაზაკვალქ
ირფელი კვარჩხშე მოძირეს;
ნეტარც ქდობხვადქ, მარა
მუ ბღოლუა მოჯგირეს.

სატანაში მოძირაფა

გილურც დო ქადაგენც,
მარა მართალც ვათქუანც,
უჯოღორე ქიანას
კატუს ოლალაფუანც.
კონწარ სიტყვას უჩინანც
შორებელს დო მოხოლეს,
კვაკვილეფით გოდაცილი
ბეწვის გორც შხვაში თოლეფც.
ტვინი ლუციფერში უღუ,
დო გოძიცა გილარდეში,
სურათეფი მუკაბინ
იუდა დო პილატეში.
ობშხა ჭითა ოხიოლ
მაზაკვალიშ ნანათას
მარა ეთი უბედურც
გაკასერუ თანაფას.

შურობუმუ

შურობუმუში მინდორეფც
შურიში შარეფი გაფ ნალი,
მიქ მერკვათ ფსუალეფი
მურიცხვებშა მაფურნალი.
სქან ოცქვაფურ ისტორიას
ხეჭკურელო მუკურექ,
გოღანერი კოლხიშ სქუა
ამდღა ჭიჭე ძუკუ რექ.
ქოგურაფუქ აგაგას,
უჩხონჩხე დო უგურეს;
თელეფწკმა რგორი, მარა
ლეგენდეფშა მოწურეს.
სქან დინაფას თე ქიანას
შურო მითინ ვანარღენც,
ბორო რექ დო ეშმაკის
გიძახნა გამაღეთ.
დოღურიდა მუ გიწუა,
მეტის ვადოიბანძღუანქ,
გოცქვენი გვალო ქდგარულ,
ეგებ მოირთას ლანძღუაქ.

ქდოფსქიდა მელერსეთ

პოეტეფი ბრელი პუნა
მარა ხასლათ გელერთეს,
მარგალურო ჭარანინი,
ქიგიოდვანა მელერსეს.
იბირას დო ღვარუას,
მა ქიდიბჭყა ჩქიმ ოზეს
უხარ თირიშ ხარუას.
მარგალეფქ პოეტიში
დაჩხირ გურშა ქელერზეს,
მა ჩქიმ ნინაშ ცოროფათ
ქდოფსქიდა მელერსეთ.

ქენოფსქიდი ოკოჩეს

კირდეს ცხიმურც გელუფალ,
მიკვე, მუჭო მუკოჩენდ;
კოც კოჩწკმა ვადარინე
დო კოჩი ვერგ უკოჩეთ.
მოკოდ ცხიმურცალო რინა,
სოთინი ფერდის მუკორჩელც,
მარა დიხაში ცოროფათ
ქენოფსქიდი ოკოჩეს.

მაკვირენც

„ჟლურტული-მეგრული მრუდი ლაპარაკი,
გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთა ლაპარაკი. ესე არის
მეგრელთა და მისთანთა ავენოანთა ლაპარაკი...“

სულხან-საბა ორბელიანი
„ლექსიკონი ქართული“

სულხან-საბაში ნარაგად
გურც ბჭუნც დო მაკვირენც,
ცვარიაშა მუ უგუდ
ოდოიაში მაბირეს.
ურთას ურთე ურთა იცი,
სოლე გოკონი ურთინე,
აშო თოლც ქელარწენც
ცას ელაფურტინე.

მარგალური

აიეტში ნინა რექ,
გუბაზიში ნინა რექ,
ფარტაზიში ნინა რექ,
საღორონთო რჩქინა რექ...
ორთაში დორთაში თოისერც
დუდშე გინნაჯინა რექ.
საწმოხონო რინა რექ,
ქიანას ჟიშე მინა რექ,
შოთაშ უნჩაშ ჯიმა რექ...
აიეტის ნინა რექ
დო გუბაზიშ ნინა რექ.

ნამარგალი

აიშა მარგალი ცოფე, მარა
ასე ორე ნამარგალი,
დოცორადე იში ოდა,
ყამბარც ფოკვა ქმნუდვალ,
მიწოტებულ ნოხორის
ინჭირიას გოუფალ.
იში ნაულას ვემიოხე
ნოქური დო ნაბარბალ,
გოჭყოლად ნანაში ნინა,
მედინაფუ სამართალი;
ქორე, მარა მითინს კოჩო
ვემიორჩქ, ნამარგალი!

დადიანიში აბარწაშე

ტყურა ფთქუე, მუშო გოკო,
გირაგადქ მუთ რენ თის.
ჭიე-ჭიეთ ინგირ პიჯშა
ქუმოურთუმ რუსეთის.
მოლე ჭვენც დო გიოჭვენც
დადიანიშ დოხორეს,
ამსერი ქუდმარულეს და
ქობძირნთ ონჯღორეს.
ტყურა ფთქუე, მუშო გოკო,
გირაგადქ მუთ რენ თის,
დადიანიში აბარწაშე
გინვოჯინექ რუსეთის.

მუში იმენდით

მუშო გოკო ამდღარ ღურა
იშო-იშო გოზინდე,
ემერ ღურელც ორკდე დო
ავრე თელეფც ოძინდე;
ნტერეფიში სახიოლოთ
სქანიანეფც ორკინდე.
მუ იმენდით დოხვადქ
ჭუმენერ დღაში გოთანას,
ფარას ქოშაყარა, მარა
სო იციდე კოჩანას.

ნინო კვიციანი

სიკვდილიდან მარადისობამდე

(რომანი)

დასაწყისი № 18

სწორედ ამდენმა დარდმა მოინელა, სიცოცხლით სავე ანიკო. მუდამდღე ჩიოდა, ტიროდა, ლოცულობდა და შესთხოვდა ღმერთს შველას – დარდისგან დაოსებული ქალი, მაგრამ ამაოდ. მისი ხმა რჩებოდა „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შიგან“. ორი წელია, უმცროსი ქალიშვილის, მზიას დაღუპვამ, სასიცოცხლო არტერიები გადაუჭრა და აჩრდილს წარსულისას დაამსგავსა ორმოცდათხუთმეტი წლის ანიკო. მაშინ მართლაც საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ყოველივეზე, მაგრამ ლედი? ლედის რა უყოს? გასწიროს და მიატოვოს? არა! არასოდეს! მე არ მაქვს უფლება ასეთი განაჩენი გამოუტანო თავს და გავმტყუნდე საკუთარი სინდისის, ღმერთის და მზიას მავედრებელი სულის წინაშე, რომელიც ორი წლის მანძილზე საშუელს არ მაძლევს.

ანიკომ მწარედ ამოიოხრა, ხელები გაასავსავა, თითქოს შავ ფიქრებს იგერიებსო. გამოერკვა და მთელი სინაზით ჩააცქერდა ღიმილით ბაგე გაპობილ, ნათელსხივგადაფენილ ლედის სახეს. დღითი დღე იზრდებოდა მსგავსება დედაშვილს შორის. ზუსტად ამ ლოგინზე მიწოლილი უმღეროდა, ყმაწვილქალობაში ანიკო მზიას. ოქროსფერი თმებით, ლურჯი თვალებით, ტანკენარობითა და ჩამოქნილი ნაკვთებით, დედის სრული ასლი იყო ტანაყრილი ნაზი, ჰაეროვანი ლედი. ანიკოს ისევ პატარა ჰგონია შვილიშვილი, თორემ ლედიმ უცბად აიყარა ტანი, ამ ბოლო დროს, დასრულდა და დამშვენდა. სწავლულ, განათლებულ ანიკოს, მიუხედავად ყველაფრისა, უკლებლივ შერჩენოდა არისტოკრატიული მანერები. ლედის სახე ამ წუთში კიდევ ვიღაც სხვას მიამსგავსა და უცბად გონებაში კვლავ აღიბეჭდა ლენინგრადში ერმიტაჟის კედლები და ნახა როგორ დაეშვა კედლიდან ძირს, როგორ შემოაბიჯა ოთახში და როგორ მიწვა ლოგინზე მურილიოს მადონა. ღმერთო რა საოცარია?თითქოს პირველად ხედავსო ჩაუკვირდა და შეაკრთო ბავშვის ზღაპრულმა სილამაზემ, მისმა განსაკუთრებულმა სახის ნაკვთების წყობამ, მისმა სინორჩემ. უკან ისე მკვეთრად გადაიწია, თითქოს მაგარ მოქნეულ სილას იცდენსო და ჩაიბუტბუტა – ღმერთო, შენ უშველე. ვერ იქნა და ვერ მოიშორა გულში თანდათანობით ჩაბუდებული შიში ამ სილამაზის, განსაკუთრებულობების წინაშე უეცრად აღძრული. გამოცდილმა ქალმა კარგად უწყოდა, რომ ყველაზე საშიში მტერი, ასეთი სრულქმნილება იყო ქალისათვის. ეს მშვენივრად იცოდა, როგორც პირადი გამოცდილებიდან, უიღბლობიდან, ასევე მზიას ხვედრიდანაც. თუმცა მზიას სიკვდილთან სილამაზე არაფერ შუაში არ იყო, ავადმყოფობით მიიცვალა, მაგრამ ანიკოს, მაინც ჯეროდა, რომ თუ არა შური ხალხისა, მზიას უღვთო სილამაზის წინაშე, ის ღრმა სიბერემდე იცხოვრებდა. პატარძალივით თეთრ სამოსში გამოწყობილი მზიას ცხედარი, ანგელოზებთან ასამაღლებლად იყო მაშინ გამზადებული. ლედის ეჩვია ხოლმე თქმა: - დედა ქრისტეს ასაკში გარდაიცვალაო!“ ალბათ ესეც რაღაცას ნიშნავდა. გუშინდელ დღესავით ახსოვს ქორწილი მზიასი და შოთასი. მაინც რა ბედნიერი დედა მერქვა იმ დღეს. მაგათზე იყო ნათქვამი: მზე და მთვარე შეერწყნენ ერთმანეთს, ირგვლივ მყოფთა დასაბრმავებლად ყველაზე საუკეთესო წყვილებმა იმ დღეს თითქოს ბრძანეს, ხელი აეღო კაცობრიობას დანყვილებაზე, სანამ მათი სილამაზე მეფობდა, გვერდზე მიმდგარიყო ყველა და შორიდან დამტკბარიყვნენ სანახაობით.

განუმეორებელი, ენით აღუწერელი და მომაჯადოებელი იყო საღამო, რომელიც იმ დღეს გამეფებულიყო შოთას სახლში, საბურთალოზე წამოჭიმული სამ სართულიანი სახლი, უშველებელი სახლ-კარი გაჩირაღდანებულიყო. მათ სიხარულს დედაქალაქიც უერთდებოდა. მთელი თბილისი გაკაშკაშებული სხვადასხვა ფერის ლამპიონებით, ზღაპრული სილამაზის უზარმაზარ სამეჯლისო დარბაზს მოგაგონებდათ. ირგვლივ მყოფნი შეჰხაროდნენ, შენატროდნენ ორთა ბედნიერებას და გაკვირვებას გამოთქვამდნენ განგების მიმართ ასეთი ქმნილებების მოვლინებისთვის. თბილისელმა შოთა დევდარიანმა, პროვინციიდან თბილისელებს დედოფალი მოჰგვარა. იგი აშკარად გრძნობდა უპირატესობას მეუღლისა და ცოტა არ იყოს კიდეც ამაყობდა ამით. მზია კი თითქმის ვერც ამჩნევდა გარშემო მყოფთა აღტაცებას და არც ქება-დიდება ესმოდა მათი. ისევ ისეთ ჩუმ, მოკრძალებულ და განსაკუთრებულ არსებად რჩებოდა, როგორც გათხოვებამდე. ბუნებრიობა კიდევ უფრო ეშხსა და ლაზათს მატებდა. მათ ბედნიერ, მყუდრო და იდილიურ ოჯახში იკრიბებოდა თბილისის ნაღები ელიტა, საუკეთესო წარმომადგენლები საზოგადოებისა. ყველა განსაკუთრებულ სიამესა და ნეტარებას გრძნობდა მათთან მოხვედრილი. თავად შოთა ხომ მიუხედავად მცირეწლოვანებისა, 30 წლის ასაკში, დამსახურებულ პედაგოგად ითვლებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეუღლებიდან სამი წლის შემდეგ, მზიაც მისი სტუდენტი გახდა. ამიტომ მოსიყვარულე ცოლ-ქმარს იშვიათად უხდებოდათ ყოფნა ერთმანეთის გარეშე. ისინი თითქოს შეეზარდნენ, შეერწყნენ, შეესისხლხორცდნენ და ერთ სულ არსებად იქცნენ თხუთმეტი წლის მანძილზე. ანიკოსაც გული მუდამ თბილისისკენ უწევდა. უნდოდა დარდები გაექარვებინა მზიასთან, მყუდრო ოჯახურ იდილიაში. მას არც ახსენდებოდა ვაკეში ბარნოვზე მცხოვრები, შუათანა ვაჟიშვილის ოჯახობა, მიუხედავად იმისა რომ ლერი ზაალიშვილი მისი განსაკუთრებულად საყვარელი შვილი იყო, ხოლო ნოდარი განსაკუთრებულად სადარდებელი შვილიშვილი. შვილის სიკვდილის შემდეგ რაღაც აკლდა მათთან სიახლოვის დროს, ალბათ მისი შვილის არყოფნით გამოწვეული სიცარიელე, ულერიოდ გაჩენილი დიდი ბზარი არ მრთელდებოდა, პირიქით უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა. ანიკოს გულს აკლდა ალბათ ის მშობლიური, რომელიც უნდა შეიგრძნო რძალთან სიახლოვის დროს. განსაკუთრებულად ლერის ტრაგიკულად დაღუპვის შემდგომ გაუცხოველდა სავსებით ის სახლი, როგორ უჭირდა ამპარტავან რძალთან საერთო ენის გამონახვა. პირველ დანახვისთანავე გულმა რეჩხი უყო, გულმა არ მიიღო. ის მკვეთრად განსხვავდებოდა ლერისგან.ქაჯური მიხვრა-მოხვრა, წარამარა უადგილო კისკისი,ვითომდა ბრძნული აზრების გამოთქმით, ყურადღების ცენტრში ყოფნის დიდი სურვილი. მის წინაშე ყველას უკან უნდა დაეხია და ეღიარებინა აშკარად თავგასული ქალის უპირატესობა,თორემ აუცილებლად აგითვალისწუნებდა და შეძლების დაგვარად დაგამცირებდა საზოგადოებაში. როცა თავმოყვარე, გოროზ დედამთილს შეეჩეხა პირისპირ,შედგა და ერთ ადგილას მიელურსმნა. იგრძნო გულმა გული. მიხვდა ჯიქურ ვერაფერს ვერ გახდებოდა ამ ანჩხლი დედაკაცის წინაშე და ისევ დათმობა ამჯობინა. მხოლოდ შვილიშვილების სანახავად მიადგებოდა კარს წელიწადში ერთხელ და მაშინაც ღამეს არ ათენებდა. რძალიც არ ცდილობდა ზედმეტად თავმდაბალი ყოფილიყო.გულში უკვე დაესადგურებინა ზიზღს დედამთილის მიმართ. მტერს და თუ ვინმე შეეცდებოდა შეპასუხებას ნატოსი, მაშინ გენახათ მისი სასაცილო ფიზიონომია. ძაფივით წვრილად დატივებულ წარბებს აზიდავდა, თვალებს გადმოკარკლავდა და ხელების კანკალით,რომელიც მისი განრისხება უმაღლესი საფეხური იყო, საშინელ წივილ-კივილს მორთავდა. სმ დროს ის სრულებით კარგავდა თავის ცონტროლს.

ნოდარი და ანაც დედის კვალობაზე წასულიყვნენ, მუდმივად სტუმრიანობა, გაუთავებელი დღესასწაულები, თავაშვებული ღრეობა, ლხინი აურზაური, თეატრი და კინო ერთმანეთს ცვლიდნენ შვილის ოჯახში. დღემდის უკვირს ანიკოს,როგორ ეგუებოდა ყოველივე ამას დინჯი,უთქმელი უწესრიგობის მოძულე ლერი. ბავშვობაში ცელქი და დაუდეგარი იყო მეტისმეტად ლერი, შემდგომში უცებ, თითქოს ერთი ხელის მოსმით დასერიოზულდა. მისი შემხედვარე კაცი იფიქრებდა, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულია და არაფერი არ აინტერესებსო. გაუთავებლად ეწამებოდა ქარაფშუტა ცოლის ხელში, რომელიც მისი კაპრიზების,ნებასურვილის უთქმელად ამსრულებელი იყო. ეს ალბათ ჩასიძებული კაცის ქრონიკული თვითგვემაც იყო. ცოლის ქებას ჩამოკიდებული ლერის ბედის იალქანინატოს სურვილებისკენ მიაქანებდა. შვილის სიკვდილმა ანიკოსაც შვება მოჰგვარა. ორივეს წამებას, უთქმელ დარდს ერთდროულად დაესვა წერტილი. მის სიკვდილზე უამრავი ჭორი აგორდა. ზოგი ამბობდა მოკლეს, ზოგი ამბობდა ავარიაში მოჰყვა, ზოგიც კიდევ ვეღარ გაუძლო ცხოვრებას და თავი მოიკლაო.სინამდვილეშეი ჭირისუფალს მხოლოდ რესპუბლიკურ საავადმყოფოდან დაუკავშირდნენ ავარიაში მოჰყვაო. ვინ დააცალა ანიკოს ხმის ამოღება, ნატო ხელად მკვდრის გაპატიოსნებას შეუდგა, ქელეხისათვის შესაფერის სამზადისს, გასვენება უფრო ქორწილს ჰგავდა, ვიდრე ჭირის დღეს აქ ფუფუნების საგნების, ცოლ-შვილს გემოვნებით ჩაცმა დახურვის, ნუგბარი საჭმლების რეკლამირება იყო. ნატო ღრმად დამწუხრებული, ქვრივი, მოსიყვარულე მეუღლის როლს თამაშობდა. ამით ხალხის გულწრფელ თანაგრძნობას იმსახურებდა. შვილიშვილებიც სწრაფად შეეგუვნენ მამის სიკვდილს, თითქოს განგების ნებას დამორჩილდნენ. ანიკომ გულში გამოიგლოვა შვილი. მზიაც ცოცხალი იყო მაშინ, მხოლოდ მან დასტირა ძმას სიმართლე, რომ შენს ამქვეყნად ყოფნას, ბევრად ჯობია შენი ახლანდელი მდგომარეობა. მოისვენებ სხვა თუ არაფერიო. ნუ გეშინია ძმაო, ყველანი სიკვდოლის შვილები ვართო. გაწიწმატდა ნატო, მაგრამ პირში წყალი ჩაიგუბა, წყენა გულში ჩაიხვია. დიდებული ტგასვენება მოუწყო. დამარხეს ლერი და მასთან ერთად დაიმარხა მისი ხსოვნაც ოჯახის, ახლობების გულში, გარდა ანიკოსი. ლედიც ამის გამო ვერ იტანდა ბიცოლას. მას კარგად ახსოვდა ბიძამისის სევდიანი თვალები, უსიხარულო დღეები, სისხლიანი ტანსაცმელი და გაყინული სახე. სიკვდილის წინ, მის სასთუმალთან გაჩერებულ ნოდარს, ლერიმ რაც შეეძლო ისე მოუჭირა დასუსტებული თითები, თვალები ცრემლებით ავსებოდა, შემდეგ მზერა ანიკოზე გადმოიტანა შვილის მავედრებელი მზერაში ამოიკითხა, რომ ნოდარის აბარებდა მომაკვდავი... რა იყო ეს? იქნებ სიკვდილის მოლოდინში წინასწარ შეეძლო დაენახა, რაიმე უბედურება შვილის თავს დატეხილი. ანიკო გუმანით გრძნობდა, რომ ნოდარი საეჭვო ხალხში იყო გარეული. მას ყოველთვის ყველაფერი გამოსდის. პატივს სცემენ, აფასებენ, საჩუქრებს უძღვნიან, ქორწილებში, დაბადების დღეებზე ეპატიჟებიან, საზღვარგარეთ სამოგზაუროდ საკუთარი ხარჯებით მიჰყავთ, აგარაკს ჩუქნიან წყნეთში, მის ნათქვამს უსიტყვოდ ასრულებენ და კიდევ ვინ მოსთვლის რა და რა. ანა და დედამისი კი ყოველივე ამას უმუშევარი ნოდარის საზრიანობასა და მოხერხებულობას მიაწერენ. ანა უკვე გათხოვილია, არაფერი არ ადარდებს. მშვენიერ ბედში ჩავარდა, ხოლო უპატრონოდ მიტოვებული საფლავის ქვას ცოლ-შვილის ცრემლი მონატრებია.

ნინო კვიციანი

(გაგრძელება იქნება)

ისტორიის ფურცლები
ერთიანი საქართველოს მეფეები

ბაგრატ III

ერთიანი საქართველოს პირველი მეფე 975-1014 წლებში, მეფეთა მეფის გურგენის და გურანდუხტ დედოფლის შვილი.

საქართველოს გაერთიანება დაიწყო VIII საუკუნის ბოლოს. ქართველი მეფე-მთავრები იბრძვიან საკუთარი სამთავროების საზღვრების გაფართოებისათვის. პირველობისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიდა ქართლის დაუფლებას. შიდა ქართლი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, როგორც სტრატეგიულად, ასევე პოლიტიკურად. ქართული ქრისტიანობის ცენტრიც შიდა ქართლში-მცხეთაშია. ქართლი ყველაზე დაწინაურებული მხარეა ეკონომიკურად და პოლიტიკურად.

VII საუკუნის დასასრულს შიდა ქათლი კახეთს ეკუთვნის. IX საუკუნის დასაწყისში მას ქართველთა სამეფო (ტაო-კლარჯეთი) იერთებს. X საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება შინაფეოდალური ომები რაც სამეფოს დასუსტებას იწვევს. ფეოდალურმა ანარქიამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო თეოდოს III უსინათლოს (975-978) მეფობაში. ამით სარგებლობს კახეთის საქორეპისკოპოსო და იწყებს ქათლისათვის ბრძოლას.

საჭირო ხდება გადამჭრელი ზომების მიღება. იწყება ბრძოლა ერთიანი ქათული მონაქიის შექმნისათვის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მოთავეა ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე, საქართველოს გაერთიანებით დაინტერესებული სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღებას იქცევს მცირეწლოვანი ბაგრატ III-ის პიროვნება, რადგან იგი სამი სამეფოს მემკვიდრედ ითვლება. ბაგრატი არის ქართველთა მეფის ტიტულის მქონე ბაგრატ ბაგრატიონის შვილიშვილი და მეფეთა-მეფის გურგენის შვილი, ეგრის-აფხაზეთის მეფის უშვილო თეოდოსის დისწული, ტაოს მეფის დავით III კურაპალატის შვილიშვილი.

დავითმა მხარი დაუჭირა თავისი შვილიშვილის ბაგრატის გამეფებას და 975 წელს ჯარით ქართლი-საკენ გაემართა. ქართლის ქორეპისკოპოსი კვირიკე II, რომელსაც უფლისციხისთვის ალყა ჰონდა შემორტყმული, დავითთან ბრძოლას მოერიდა და კახეთს გაბრუნდა. იოანე მარუშისძემ უფლისციხე დავითს გადასცა. დავითმა ქართლის დიდაზნაურებს ბაგრატისადმი მორჩილება უბრძანა, რომელსაც მცირენლოვნების გამო თანაგამგებლად მამამისი გურგენი დაუნიშნა. დიდიაზნაურთა გარკვეულ ნაწილისათვის არსებული პოლიტიკა მიუღებელი აღმოჩნდა. მათ კახეთიდან ლაშქარი დაიხმარეს, ბაგრატი მშობლებთან ერთად დაატყვევეს და კახეთში გადაიყვანეს. დავით III-ის ენერგიული ჩარევის შედეგად ტყვეები გაათავისუფეს, ხოლო უფლისციხე და ქართლი საგამგებლოდ ბაგრატის დედას, გურანდუხტ დედოფალს გადაეცა. მოგვიანებით, ბაგრატი დასავლეთ საქართველოს დიდაზნაურთა ნანილის თხოვნით, იოანე მარუშისძის ხელშეწყობით და დავით ტაოელის დასტურით ქუთაისის ტახტს იკავებს, უსინათლო თეოდოსს კი დავით კურაპალატთან აგზავნის. 980 წლიდან სრულწლოვანი ბაგრატი დამოუკიდებლად იწყებს სამეფოს მართვას.

ქართული მიწების საბოლოო გაერთიანება, ქვეყანის პოლიტიკური ცენტრალიზაცია, მმართველობის ერთიანი სისისტემის ჩამოყალიბება, უკვე ქართული, უკვე ფეოდალური მონარქიის ფარგებლში მიმდინარეობს, რაშიც უდიდესი წვლილი ბაგრატ III-ს მიუძღვის.

980 წელს ბაგრატი დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადმოდის, რადგან აქ გურანდუხტ დედოფლის ხელისუფლება ნორმალურად, მიაჩნია რეალურად კი მას ქართლის დიდი აზნაურები: ტბელები, ძამელები, ფხვნელები, ფავნები, კორინთელები განაგებენ. ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ქავთარ ტბელი უდგას, რომლის საგვარეულო შიდა ქართლის ერისთავობაზე აცხადებს პრეტენზიას. მოღრისთან ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა, დედისგან უფლისციხე ჩაიბარა, მდგომარეობა განიმტკიცა და ისევ აფხაზეთს გადავიდა. ასე დაამკვიდრა მან თავისი ძალაუფლება დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლზე.

დამოუკიდებლად არსებობს კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამეფო, თბილისი და ქვემო ქართლის ნაწილი არაბ ამირს ემორჩილება, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო-ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელთა ხელშია.

მის ერთ ნაწილს ჯერ ბაგრატ III-ის პაპა, ბაგრატ II ფლობს, შემდეგ კი ბაგრატის მამა გურგენი, მეორე ნაწილს კი ტაოს მეფე დავით III კურაპალატი. კლდეკარის საერისთავო დაუმორჩილებლობას აცხადებს.

989 წლის ზამთარს, ბაგრატი მოულოდნელად კლდეკარის ციხეს მიადგა რატი რატის ძე ბაღვაში მეფეს დანებდა, გადასცა კოლდეკარის საერისთავო (თრთიალეთი, მანგლისის ხევი, სკვირეთი), შეავედრა შვილი და თვითონ „დაჯდა მამულსა თვისსა არაგვეთს“ დამარცხებული კლდეკარის პატრონის სამფლობელო მეფემ თავის ერთგულ ზვიად მარუშის ძე გადასცა, როგორც მოხელე-ერისთავს.

1001 წელს, როდესაც დავით III კურაპალატი გარდაიცვალა, ტაო ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ კეისარმა (976-1025) დაიკავა. იქ მისულ ბაგრატ III-ს და გურგენ მეფეს, მემკვიდრეობის მიღების სანაცვლოდ კეისარმა პირველს კურაპალატობა უბოძა, მეორეს კი მაგისტრობა. ბაგრატს იმედი გაუცრუვდა, რადგან იმიერ ტაოს, ბასიანისა და სხვა მიწების შემოერთება ვერ მოხერხდა.

1008 წელს,გურგენ მეფეთა-მეფის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ III, როგორც მემკვიდრემ, შემოიერთა ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ამიერტაო), შავშეთი, კლარჯეთი, ჯავახეთი, ბაგრატ III-მ პირველმა მიიღო „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ ტიტული.

ამის შემდეგ ჯერი კახეთზე და ჰერეთზე მიდგა. ბაგრატმა კახეთის ქორეპისკოპოსს დავითს შეუთვალა დაეთმო მისთვის ქართლის ის ციხეები, რომელიც მიტაცებული ჰქონდა. მაგრამ დავითმა დაცინვით შემოუთვალა „უკუეთუ იძიებ ციხეთა,იყოს ჩუენ შორის დამაჯერებელ მკლავი და ომი“. ბაგრატი მოკლე გზით ჯავახეთიდან კახეთს ჩავიდა, შემუსრა იგი, დაიპყრო ჰერეთი და იქ მთავარი აბულალი განაჩინა. ბაგრატის წასვლისთანავე ჰერეთი გადაუდგა ახალ პატრონს და დავით ქორეპისკოპოსს მიემხრო. ბაგრატი იძულებული გახდა გაელაშქრა კახეთის დასაპყრობად. ბაგრატმა ისევ დაიკავა ჰერეთი და კახეთის ციხეების აღებას შეუდგა. ორი წლის განმავლობაში ყველა ციხე ხელთ იგდო, 1010 წელს ბაგრატმა კახეთ-ჰერეთის შემოერთება დაასრულა.

მეფობის ბოლო წლებში ბაგრატ III-მ სომეხთა მეფე გაგიკ I-თან ერთად ილაშქრა საქართველოს მოსაზღვრე რანის მფლობელ ფადლონის წინააღმდეგ, რომელიც დროგამოშვებით არბევდა კახეთ-ჰერეთს. ბაგრატმა აიძულა ფადლონი ყოველწლიურად ხარკი ეხადა და საქართველოს მეფის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა ეკისრა.

ბაგრატ III-მ მისია, რომელიც დაეკისრა პირნათლად შეასრულა. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფეოდალურ მონარქიას და სახელმწიფო “საქართველოს”. ბაგრატ III იწოდებოდა “მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა კურაპალატი”. ერთიანი საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი იყო.

ბაგრატ III-ის მეფობაში აიგო ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლები: ბედიისა და ბაგრატის (ქუთაისი) ტაძრები, ნიკორწმინდა.

ბაგრატ III გარდაიცვალა 1014 წელს ტაოში, ფანასკერტის ციხეში, დაკრძალულია ბედიას.



გიორგი I

ერთიანი საქართველოს მეფე 1014—1027 წლებში ბაგრატ III-ის ძე. გიორგი პირველის გამეფების დროისათვის, გაერთიანებული და გაძლიერების გზაზე დამდგარი საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანია კავკასიაში პოზიციების განმტკიცება და სრული სუვერენიტეტის მოპოვება, საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მიზნის განხორციელებაში საქართველოს დიდად უშლის ხელს ბიზანტია, რომელსაც აღარ აკმაყოფილებს მის მიერ იმპერიის უპირატესობის ფორმალური აღიარება და რეალურად სურს აქ მდგომარეობის გამყარება. ბიზანტია თავისი მიზნისთვის საუკეთესოდ იყენებს დავით III კურაპალატის სამფლობელოებს, რომელიც 1001 წელს ჩამოაჭრა საქართველოს და აქ თავისი ადმინისტრაციული ერთეული ,,იბერიის თემი” შექმნა. ამ ტერიტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ბიზანტიისთვის, რომელიც აქედან ავრცელებს თავის ექსპანსიას სქართველოსა და სომხეთზე, ისე საქართველოსთვის, რათა თავისი პოლიტიკური მიზნები განახორციელოს. ამიტომ გიორგი I იწყებს შეუპოვარ ბრძოლას ბიზანტიის წინააღმდეგ, იმპერიის დასაბრუნებლად.

გიორგი I-ის ტახტზე ასვლისთანავე, ცენტრალიზაციის მოწინაღმდეგე დიდ აზნაურებმა ერთიან საქართველოს კახეთ—ჰერეთი ჩამოაშორეს, და აქ ადგილობრივი მმათველობა აღადგინეს. სამეფო კარმა, როგორც ჩანს ერთი მხრივ, ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა კახეთ—ჰერეთის დამოკიდებელ ერთეულად ფორმირებისათვის, მეორე მხრივ, მეტად აღარ დაამძიმა წინა პოლიტიკური ვითარება. მომავლისათვის გადადო კახეთ-ჰერეთის ბრძოლა, რათა არ შეშლოდა ხელი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისში. ასეთი არჩევანი განპირობებული იყო იმ დროს შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებით. კერძოდ, იმპერიას აუჯანყდა ბულგარეთის სახელმწიფო და ბასილი II (976—1025) ოთხი წლის მანძილზე მასთან ომს აწარმოებდა.

გიორგი I 1014—1018 წლებში სამხრეთ ტაოში შეიჭრა და დაიკავა. 1019 წელს ბასილ II-მ ბულგარელებთან ომი წარმატებით დაამთავრა და საქართველოს მეფეს სადაო ტერიტორიის დაცლა მოსთხივა. მეფემ იმპერატორის მოთხოვნებზე უარი განაცხადა, რასაც მოჰყვა საქართველო-ბიზანტიის ომი 1021-1023 წლებში.

გიორგი I—მა, ბუნებრივია, კარგად იცოდა, რომ ქართველების მიერ სამხრეთ ტაოს დაკავებას ბიზანტიის იმპერატორი უპასუხოდ არ დატოვებდა. იგი თავიდანვე შეუდგა სამხედრო და დიპლომატიურ სამზადისს. მან გადაწყვიტა ფართომასშტაბისანტიბიზანტიური კოალიციის შექმნა. ამ მიზნით გიორგი I დაუკავშირდა სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს: ანისის მეფე იოვანე სუმბატს, რომელმაც ტახტი გიორგის დახმარებით დაიკავა. კოალიციაში მონაწილეობას იღებდნენ ანისის სამეფოს ვასალი ვანანდი და ვასპურაკანის მეფე სენექსიმ არწნუნი, რომელსაც პირადი პოლიტიკური მოსაზრებები გააჩნდა ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს მეფეს ეხმარებოდა კახეთ-ჰერეთი, რაც გიორგი I-ის დიპლომატიურ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. გიორგი I-მა კავშირი დააამყარა ეგვიპტესთან. ეგვიპტის ხალიფები დიდი ხანია მეტოქეობას უწევდნენ ბიზანტიის იმპერიას და მნიშვნელოვნად ასუსტებდნენ კონსტანტინოპოლის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. საქართველოს სამეფო კარი, როგორც ჩანს კარგად იყო ინფორმირებული წინა აზიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. საგანგებო ელჩობა გააგზავნა კაიროში ხალიფა ალ-ჰაკიმთან, რომელსაც ერთობლივი საომარი ოპერაციების დაწყება შესთავაზა. სამწუხაროდ, კოალიციის ჩამოყალიბება ბოლო მომენტში ჩაიშალა, გარდაიცვალა ალ-ჰაქიმი, რამაც ალბათ განაპირობა გიორგის წარუმატებლობა.

1021 წელს ბასილი II ურიცხვი ლაშქარით მოულოდნელად საქართველოშიშემოიჭრა.მოწინააღმდეგენი ბასიანს დაბანაკდნენ. გიორგიმ ბრძოლას თავი აარიდა, ქ. ოლთისი და კოლას დაადგა. ბასილი კვალდაკვალ გამოყვა მას და სოფელ შირიმთან (ჩილდის ტბის მახლობლად) შეება საქართველოს ლაშქარს. ქართველებმა შეუპოვარი ბრძოლით უკუაგდეს ბიზანტიელები, მაგრამ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და უკან დაიხიეს. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ ქართველი „ერისთავნი და დიდებულნი: რატი ძე ლიპარიტისი და ხურსი.“ უკანდახეულ ქართველებს ბასილი დაედევნა, თან ირგვლივ ყველაფერს ანადგურებდა. ბიზანტიელებმა ააოხრეს არტაანი, ჯავახეთი და თრიალეთი. თრიალეთით, ისევ უკუმოიარა ჯავახეთი და არტაანი ბასილის ლაშქრებმა და ისევ საშინლად მოაოხრა. გიორგი I-ს ამ დროს კახეთ-ჰერეთის ლაშქარი მოეშველა და ბრძოლის განახლება გადაწყვიტა. ზამთრის მოახლოებისა და ქართველთა ლაშქრის გაძლიერების გამო იმპერატორმა ბრძოლა აღარ გააგრძელა, სამხრეთით წავიდა და ტრაპიზონთან დაბანაკდა. დაიწყო საზავო მოლაპარაკება. გიორგი I მოლაპარაკებას აჭიანურებდა, რათა ხელსაყრელ მომენტში შეტევა დაეწყო. ამ დროს ბასილიმ მიიღო ცნობა, რომ მის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს ქსიფემ და ნიკიფორე ფოკამ, მათთან, როგორც ჩანს, გიორგი I-ს კავშირი ჰქონდა. გიორგიმ აჯანყებით ისარგებლა და ისევ საომარ სამზადისს შეუდგა. იმპერატორმა აჯანყება მალევე ჩაახშო, დაასწრო საქართველოს მეფეს და დაამარცხა.

1023 წელს გიორგი I იძულებული გახდა ზავის მძიმე პირობებს დათანხმებოდა იმიერტაო ისევ ბიზანტიას დარჩა. ტახტის მემკვიდრე ბაგრატი სამი წლით მძევლად გაიგზავნა კონსტანტინეპოლში.

გიორგი I ამ მდგომარეობას ვერ შეეგუა და რევანშისათვის ემზადებოდა. მან 1025 წელს ვასპურაკანის მმართველის ნიკიფორე კომნენოსის შეთქმულებაში, იმპერატორის წინააღმდეგ, მიიღო მონაწილეობა. შეთქმულება გამომჟღავნდა.

გიორგი მეფე იყო პირველი ვინც შეეცადა საქართველოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გამოყვანას.

მეფე გიორი I გარდაიცვალა თრთიალეთს, 1027 წელს. დარძალულია ქუთაისს.

გამეფდა 12 წლისა, იმეფა 13 წელიწადი, აღესრულა 25 წლისა.

მოამზადა: ვალერი ძაძამია

4 ←

იაკობ ჯუღაშვილი ტყვეობაში
ივლისი 1941 წელი

ცისფერი ნაპერწკალი

ბეჟან ჯაფარიძე, მიხეილ ოკუჯავა

რუსულ სოციალიზმს სახელმწიფოებრივ მართვის იდეალურ ფორმად?

— არა!

— გთხოვ გაიმეორეთ უფრო გარკვევით!

— რუსული სოციალიზმი სახელმწიფოებრივი მართვის იდეალური ფორმა არ არის და ამიტომ არ შეიძლება იგი ასეთად ვაღიარო.

მაგნიტოფონზე ჩანაწერი გამორთეს, აუდიტორია შეიშმუშნა, მუშებმა თავი დახარეს, მიკროფონთან რუდოლფ რანკე მივიდა, უზარმაზარი აუდიტორია კიდევ უფრო გაირინდა. მან მიკროფონს ხელი მოკიდა, ჩაახველა და ყრუ ხმით დაიწყო:

— თანამემამულენო! თქვენს წინაშე გამოვა კრემლის დიქტატორის, მარშალ იოსებ სტალინის შვილი, იაკობ სტალინი, მოუსმინეთ მას.

რანკემ ხელის ელეგანტური მოძრაობით იაკობი მიკროფონთან მიიწვია. რაღაც საშინელის მოლოდინში სისხლი ძარღვებში გამეყინა, თითქოს გულმაც კი შესწყვიტა ცემა, იაკობი მტკიცე ნაბიჯით გამოვიდა ესესელთა გარემოცვიდან და მიკროფონთან დადგა. ამხელა აუდიტორიაში თითქოს ადამიანების გულების ბაგაბუგი ისმოდა მხოლოდ. რანკემ იაკობს რუსულად მიმართა:

— ჰერ იაკობ! თუ რუსულად ინებებთ საუბარს, თქვენს ნალაპარაკევს მე ვთარგმნი აუდიტორიისათვის, თუ ფრანგულად- ჰერ შნაიდერი გაგვიწევს თარჯიმნობას.

იაკობს არც რანკესთვის და არც შნაიდერისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მიკროფონთან დადგა, პირველად გავიგონე მისგან აქცენტით ნათქვამი გერმანული. რანკე და მისი კოლეგები სახტად დარჩნენ. იაკობმა დაბალი, წყნარი ხმით დაიწყო:

— ამხანაგებო გერმანელო მუშებო! თქვენ მოისმინეთ ჩემი და გაზეთ "ფოლკიშენ ბეობახტერის" რედაქტორის, ზიგფრიდ მაიერის საუბრის ფრაგმენტი. ახლაც თქვენს წინაშე ვაცხადებ, რომ რუსული სოციალიზმი სახელმწიფოებრივი მართვის იდეალური ფორმა არ გახლავთ, საზოგადოებრივი წყობის იდეალური ფორმა კომუნიზმია, რომელსაც აშენებს ჩვენი ქვეყანა და რომელიც, ჩემი რწმენით, აუცილებლად გახდება საერთაშორისო და საყოველთაო. ბატონმა რანკემ ერთი შეცდომა დაუშვა, ისეთივე როგორც მასზე ადრე ზიგფრიდ მაიერმა. ტყვედ იაკობ ჯუღაშვილი ჩავარდა და არა სტალინი. მე რომ სტალინის გვარის ღირსი არა ვარ ეს დღევანდელი ჩემი მდგომარეობით მტკიცდება...

გერმანელმა მუშებმა თავი მაღლა ასწიეს. საბჭოთა კავშირიდან მუშებად ჩამორეკილი მოქალაქეები წელში გაიმართნენ, იაკობი განაგრძოდა.- ფაშისტური ტრაგედია ახლოვდება, რომელიც მალე მისი კრახით დამთავრდება, მარქსის ენგელსის, ლენინის, სტალინის, ტელმანის საქმე გაიმარჯვებს. თავები მაღლა, გერმანელო მუშებო, ვანახოთ ფაშისტებს, რომ ჩვენ სხვა ფოლადისაგან ნაწრთობნი ვართ, გაუმარჯოს გერმანელთა პროლეტარიატის ბელადს, ერნსტ ტელმანს!

ეს ამბავი იმდენად მ ოულოდნელი იყო, რომ ფაშისტებმა და ვერაფერი იღონეს.

იაკობმა მე და ირაკლის კოცნა გამოგვიგზავნა და თავის ადგილზე დაბრუნდა. საამქროში პოლიციელები შემოცვივდნენ და მუშებს რეზინის ხელკეტები დაუშინეს თავპირში. ყველაფერი აირია, მე, დედაჩემი და ბავშვი ესესელების მანქანში აღმოვჩნდით. იაკობი აღარ მინახავს, მითხრეს რომ ის "ზაქსენჰაუზენში"გადაიყვანეს.

ურსულა შვარცის დღიური აქ წყდება.

* * *

16 იანვარს იაკობი სასატუმრო „ადლონიდან“, სადაც ის მესერშმიტის ფირმის მუშებთან გამოვლის შემდეგ მოიყვანეს, გადაიყვანეს ბერლინის მახლობლად მდებარე საკონცენტრაციო ბანაკ „ზაქსენჰაუზენში,“ როდესაც ერთ-ერთი სუფთა ფარდულის შესასვლელში შევიდნენ, ინგლისელი ფეხზე წამოდაგა, ჩექმები ერთმანეთს მიარტყა და დამარცვლა:

— სერჟანტი კაშინგი!

იაკობმაც ასეთივე თავაზიანად უპასუხა: — უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილი! — იაკობმა შეამჩნია, როგორ გაუფართოვდა ირლანდიელს გაკვირვებისაგან თვალები და დაუმატა: — მე სტალინის შვილი ვარ.

— მაშინ მე თვით მაღალი ღმერთი გახლავართ, იქნებ მიბრძანოთ, როდის ინებებს მოსვლას აბრამ ლინკოლნი და ჩინგიზ ყაენი?! — მას ეგონა დასცინოდნენ. იაკობმა ხელი ჩაიქნია, გაიცინა და თავისი ოთახისკენ წავიდა.ზაქსენჰაუზენის ბანაკის „A“ ნაწილი, სადაც გერმანელებს განსაკუთრებული კონტიგენტი ჰყავდათ მოთავსებული, ძირითადად ფსიქოლოგიური წამების ადგილს წარმოადგენდა. ამდენად პირობები აქ ცუდი არ იყო. ყველა პატიმარი ცალკე ოთახში ცხოვრობდა. ზოგს საცხოვრებელი ოროთახიანი ჰქონდა. იაკობის ოთახში შხაპიც იყო და ვოტერკლოზეტიც, საჭმელსაც საკმაოდ კარგს და კალორიულს იღებდნენ მობადრაგე ბატალიონის სამზარეულოდან. ბანაკის ტერიტორიაზე გაშენებული იყო ფიჭვნარი, სადაც პატიმრები ხშირად ისვენებდნენ და ჭადრაკს თამაშობნენ. ზოგი მათგანი კი უპირატესობას ფეხბურთს აძლევდა. პატიმრების ოთახი ყოველთვის ფაქიზად იყო დალაგებული, აუცილებელ კომპონენტს შეადგენდა ყვავილებით სავსე ქოთანი, ყვავილებს ყოველდღე ცვლიდნენ. პატიმრებს საშუალება ჰქონდათ ეკითხათ გაზეთი და წიგნები. გაზეთები, რა თქმა უნდა ნაცისტური იყო. საყარაულო ბატალიონის უფროსი იყო მაიორი იუნგლინგი, რომელსაც ირლანდიელი ტყვეები, მისი წარმოსადეგობის გამო „დიდი ჯიმს“: ეძახდნენ. იუგლინგი პატიმრებს ხშირად კარგი სიგარეტით უმასპინძლდებოდა. გამოირკვა,რომ მას ამ სიგარეტებით მავთულსაქეთა პატიმრებისათვის ამარაგებდა გულკეთილი ბერძენი ტყვე გენერალი პატაგოსი.

ეკლიან მავთულხლართსა და აგურის კედელს შორის მოთავსებული იყო სუფთად დაფარცხული ეგრეთ წოდებული „სიკვდილის ზოლი“. ეკლიან მავთულხლართში მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. აგურის კედელს იქეთ იყო ზაქსენჰაუზენის „ჯოჯოხეთი“, სადაც გერმანელ კომუნისტებს აწამებდნენ. ხშირად იქიდან ისეთი საშინელი ბღავილი ისმოდა დღის ყოველ დროს და განსაკუთრებით ღამით, რომ „სიკვდილის ზონის“ პატიმრებს ძარღვებში სისხლი ეყინებოდათ.

იაკობს ძალიან დაუახლოვდა კეთილი შოტლანდიელი ენდრიუ უელში. მას შემდეგ, რაც ენდრიუ იაკობს საიდუმლოდ მოუყვა, რა ხდებოდა აგურის კედელს იქით, მის სახეზე ღიმილი აღარავის უნახავს. იაკობი გაოგნდა, როდესაც შეიტყო, როგორ წვრთნიდნენ ფაშისტები ძაღლებს და ქალებზე გეშავდნენ. ამაზრზენი იყო აქ ყველაფერი. უელში დიდხანს იგონებდა მერე, თუ რა შთაბეჭდილებმა მოახდინა ფაშისტთა ამ მხეცობამ, იაკობზე.

— სერ იაკობ, — ჩუმად თქვა ენდრიუმ. — იმ ფარდულში თქვენი გენერალი ბესენოვია, რომელიც დიდიხანია ფრონტზე გაშვებას სთხოვს ჰიმლერს საბჭოების წინააღმდეგ. იუნგლინგმა მთხოვა თქვენთვის გადმომეცა ეს.

იაკობმა გაფითრებული თვალებით შეხედა ენდრიუს და იმ დღეს ხმა აღარ ამოუღია. მეორე დღეს დილის საუზმის შემდეგ იუნგლინგმა ფარდულში შეიარა, იაკობი მას თავაზიანდ მიესალმა და უთხრა:

— თუ შეიძლება, გენერალ ბესონოვთან შემახვედრეთ, მასთან საუბარი მინდა.

იუგლინგი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ კი მოკლედ მოჭრა.

— რატომ არა, შეიძლება, თუნდაც ახლავე.

იაკობის თვალებში სიხარული აკიაფდა.

— წავიდეთ ჰერ იაკობ, თქვენც ხომ არ წამობრძანდებით, ენდრიუ, — მიუბრუნდა იუგლინგი უელშს.

უელში ამას არ მოელოდა და წუთით შეყოვნდა. შემდეგ იუგლინგს შეხედა და საკმაოდ მშვიდად თქვა:

— სიამოვნებით.

როდესაც სამივენი ბესონოვის ოთახში შევიდნენ, იაკობმა დაინახა ორმოც წელს გადაცილებული კაცი, რომელიც წეკოს ბოლში გახვეული, მაგიდაზე გაშლილ საბჭოა კავშირის რუკას დასცქეროდა, ისე იყო გართული თავისი საქმით, სანამ იუგლინგმა არ ჩაახველა, არ მობრუნებულა.

— სალამი, ჰერ იუგლინგ! დიდად ნასიამოვნები გახლავართ თქვენი სტუმრობით.

— სალამი გენერალო, თქვენი გაცნობა სურთ საბჭოთა და ინგლისელ ოფიცრებს.

ვიდრე იუგლინგი კიდევ რაიმეს იტყოდა,იაკობი წინ წამოდგა, გენერალს თავი დაუკრა და ხმამაღლა უთხრა:

— საარტილერიო ბატარეის ყოფილი უფროსი, უფროსი ლეიტეინანტი ირაკლი ჭიჭინაძე.

გაკვირებულ უელშს და იუგლინგს იაკობმა შეუმჩნევლად თვალი ჩაუკრა. შოტლანდიელმა გენერალს თავისი თავი წარუდგინა:

— ენდრიუ უელში, ბრიტანეთის ავიაციის კაპიტანი.

— როგორ არის საქმე, ჰერ ბესონოვ, ფრონტებზე, ვხედავ რუკაზე მუშაობთ — თქვა იუგლინგმა და მაგიდისაკენ დაიხარა.

— მთლად ისე ვერაა, როგორც ჩვენ გვსურს, ჰერ იუგლინგ, საბჭოთა არმია სულ უფრო და უფრო კეტავს მოსკოვის მისადგომებს.

იაკობმა მოულოდნელად იკითხა:

— ვის გულისხმობთ „ჩვენში“ გენერალო?!გთხოვთ უფრო გარკვევით აგვიხსნათ.

ბესონოვმა იაკობი ყურადღებით შეათვალიერა და დამცინავად ამოსცრა მხოლოდ ორი სიტყვა:

— მესამე რაიხს!

— როდის აქეთ გახდა მესამე რაიხი თქვენი სულის შემადგენელი ნაწილი, ბესონოვ? — ცინიკურად ჰკითხა იაკობმა. ბესონოვი სახეზე წამოენთო.

— როგორ ელაპარაკებით გენერალს, ლეიტენანტო!

— ლეიტენანტი მე საბჭოთა არმიაში ვიყავი, აქ პატიმარი №316 ვარ, თქვენ კი ნომრმის ღირსიც არ ხართ, ისეთი ნაგავი ხართ, რომ ფაშისტებსაც ეზარებით, მოღალატე ბესონოვ!

ბესონოვმა ხმაურით შეისუნთქა ჰაერი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მოემზადა.

— ცხრამეტი წელია უკვე ყველა რუსს, და, მათ შორის მეც ყელში ამოუვიდა ქართველი და საქართველო, აქ ვიპოვე მათგან მყუდრო სავანე და აქაც ქართველი მიპირებს შეჭმას? მართლაც მოუშორებელი ტვირთი ხართ რუსეთისათვის, განსაკუთრებით 1801 წლიდან. ახლა კი ჩვენს ეპოქაში კი თქვენი პოლიტიკური მოღვაწეობის თავხედობამ კულმინაციას მიაღწია. რუსეთის უტვინო რევოლუციონერებმა კანონიერი მეფე რომანოვი ჩამოაგდეს ტახტიდან; მის ადგილზე ლენინის შემდეგ ქართველი გლეხი ჯუღაშვილი დასვეს და უკვე ცხრამეტი წელია ფეხებს ულოკავენ, ახლაც კი ფრონტზე ტანკებს უცვივდებიან უტვინოები!

იაკობი სკამზე ჩამოჯდა, მას იუგლინგმა და ენდრიუმაც მიბაძეს. შოტლანდიელი და გერმანელი ინტერესით უსმენდნენ მოღალატის და პატრიოტის პაექრობას.

— საინტერესოა, ბესონოვ, როგორც გეპეუს ყოფილ მუშაკს, ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თუ გაქვთ მიღებული მონაწილეობა? — ჰკითხა იაკობმა.

— მაქვს, ტროცკისტებს უფრო ნაკლებად, ნამდვილ კომუნისტებს კი სიამოვნებით ვხვრეტდი, როგორც სამშობლოს მოღალატეებს. ამ ქვეყანაზე სამი რამ მეზარება ყველაზე უფრო, კომუნისტი, ქართველი და,...რუსული სიტყვა „ТОВАРИЩИ“.

— წინა ორი გასაგებია, რატომ გეზარებათ მაგრამ აი მესამე „ТОВАРИЩИ“.რატომ გეზარებათ, ბესონოვ ვერ გამიგია.

ბესონოვმა უშნოდ ჩაიხვიხვინა:

— ჰმ! გასაგებია რატომაც, ეს ხომ კომუნისტური მიმართვაა თავისი კლასობრივი მოძმეების, შავი მასის მიმართ.

— როგორც ვხედავთ, თქვენ არც შერემეტიევი, არც ორლოვი, არც ტოლსტოი, არც ლავროვსკი არ ბრძანდებით, ბესონოვ. თქვენც იმ შავი მასის წარმომადგენელი ხართ, რომელიც 1917 წლის რევოლუციამ გაათავისუფლა მონობისაგან, თქვენ კი მუშურგლეხურმა სახელმწიფომ ნდობა გამოგიცხადათ და გენერლობა მოგცათ. ყველა სიკეთესთან, გაუნათლებელი, უმადური და მუტრუკი ყოფილხართ. ბანდიტსა და სამშობლოს მოღალატეს აქ, სწორედ აქ მოგაგნებთ საბჭოთა სამართალი უდანაშაულო კომუნისტების დახვრეტისათვის. ცუდად გჰქონიათ ალბათ საქმე და სამშობლოსა და ხალხის ღალატში იპოვეთ გამოსავალი, არა?- იაკობი წამოდგა და ბესონავს მიუახლოვდა, აქ მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი, რომელსაც შემდეგ დიდხანს იგონებდა ნაღვლიანი ღიმილით ენდრიუ უელში; ბოქსის ინგლისური ტერმინი რომ ვიხმაროთ, იაკობმა ბესონოვის გასავსავებული ხელები აიცდინა მოკლე დარტყმა გააკეთა მარჯვენა ხელით. ბესონოვი თითქოს რაღაც ძალამ ჰაერში ატყორცნა და ხელებგაშლილი გულაღმა დაასკდა იატაკს. დაასკდა და აღარ განძრეულა. იატაკზე გულაღმა გაშოლტილ ბესონოვს ენდრიუ უელში დაადგა თავს და ისე როგორც ერთ დროს, კრივით გატაცების პერიოდში, აზარტულად დაიწყო თვლა:

— უან, თუ, თრი, ფაიფ, სიქს, სევენ, ეით, ნაინ — ნოქაუთ!!

— დაანებე თავი, ენდრიუ, მაგ თახსირს, ღრმა ნოკაუტიდან გამოსვლას დრო უნდა.

— ყოჩაღ, სერ იაკობ, ასეთი მოკლე დარტყმით დიდი ხანია არ მისიამოვნია, თეორიული რაუნდიც მოიგეთ და პრაქტიკულიც.

ენდრიუმ იაკობს მარჯვენა ხელი აუწია. შემდეგ კი იუგლინგს მიუბრუნდა და უთხრა:

— რატომ მიიყვანეთ საქმე აქამდე იუგლინგ, ხომ შეიძლებოდა უფრო უარესად დამთავრებულიყო ეს ამბავი?

იუგლინგმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და ენდრიუს მხარზე ხელი მოუთათუნა.

— როდესაც ორის ბრძოლა მესამეს სიამოვნებს, უელშ, ის მესამე ისეთი სულელი არ უნდა გამოდგეს, სიამოვნება ჩაიშხამოს, მით უმეტეს, ბესონოვის მიბეგვა თვითონ მინდოდა დიდიხანია, მაგრამ ამის უფლება არ მქონდა.

— რატომ, თქვენ რა დაგიშავათ?

— მაგან კომენდანტთან დამაბეზღა, გენერალ პატაგოსისგან სიგარები რომ მომაქვს და სამი დღე ჰაუპტვახტში მაყურყუტეს. ეგეც მაგას! თანაც სტალინის შვილს ვასიამოვნე, ესეც ხომ

→ 9

8 ←

იაკობ ჯუღაშვილი, მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიის მსმენელებთან ერთად 1939 წელი

ცისფერი ნაპერწკალი

ბექან ჯაფარიძე, მიხეილ ოკუჯავა

საქმეა, ენდრიუ!

სტუმრებმა ისე დატოვეს ბესონოვის სამყოფელი, რომ ისევ გაშოტლი იყო იატაკზე, თითქოს სუნთქვაც შეეწყვიტა.

აღელვებული იაკობი ძლივს წამოიყვანა ენდრიუ უელშმა.

ამ ამბის შემდეგ თითქმის თვენახევარი ოთახიდან არ გამოსულა იაკობი, მხოლოდ საღამოობით გამოდიოდა ჰაერზე და ზურგზე ხელებდაწყობილი ბოლთას სცემდა ბანაკის ტერიტორიაზე. უელში ხშირად დადიოდა მასთან და ყოველთვის წიგნის კითხვით გართულს ნახულობადა.

— სერ იაკობ, წამოდით, ჭადრაკი ვითამაშოთ. ფილოსოფია სულის სიმშვიდეს ვერ მოგგვრით.— უთხრა ენდრიუმ იაკობს.

— სულის სიმშვიდეს ვეღარაფერი მომგვრის, მინდა ჩემი მდგომარეობა დავივიწყო დროებით მაინც. იქნებ ცალი თვალით მაინც შევხედო ფაშისტების დამარცხებას და მერე თუნდაც მოვკვდე. მაგრამ რას ვამბობ, მე აქ ვერ გავძლებ, აქედან უნდა გავიქცე, აქედან ჩემო მეგობარო.

— დამშვიდდით სერ იაკობ, მჯერა, რომ ფაშიზმი ამ საშინელ ომში აუცილებლად დამარცხდება, ცოტა მოთმინებაა ამისთვის საჭირო.

— აღარ შემიძლია ენდრიუ.

— უნდა გამაგრდეთ, მეგობარო, უნდა წარმოიდგინოთ რომ ამაზე უარეს დღეში არიან, უნდა გაუძლოთ ამ საშინელებებს, თავისუფლება და ფაშისტთა კრახი გიგანტური ნაბიჯებით მოაბიჯებს თქვენსკენ.

ასე გრძელდებოდა 14 აპრილამდე, ის ან განმარტოებით იჯდა ფიჭვნარში ან ოთახში წიგნს კითხულობდა. 1943 წლის 14 აპრილს, შუადღისას, უნტერშარფიურერი იუგლინგი სადილს არიგებდა, იაკობი თავის კამერაში იყო და წიგნს კითხულობდა, როდესაც იუგლინგი მასთან შევიდა, საჭმელი მაგიდაზე დაალაგა, წინ გაზეთი დაუდო და უთხრა:

— ნახეთ, ბატონო უფროსო ლეიტანანტო, რა საშინელებებს სჩადიან თქვენები?!

ეს იყო პროვოკაციული, გაზეთში დაბეჭდილი ცნობა სმოლენსკთან კატინის ტყეში 4143 პოლონელი ოფიცრის შესახებ. ეს პროვოკაცია იყო უკანასკნელი სამსალა, რომელიც ჩაანვეთეს ამ საცოდავ კაცს ფაშისტებმა. არავინ იცის, რა მოხდა, დაიჯერა იაკობმა ფაშისტთა მიერ შეთითხნული ეს პროვოკაცია თუ მის სამშობლოზე ასეთმა ბინძურმა თავდასხმამ აუვსო მოთმინების ფიალა. ფარდულიდან გავარდა და საღამომდე ბოლთას სცემდა ფიჭვნარში. უელში და იუმი მივიდნენ მასთან და სცადეს მისი დაწყნარება, მაგრამ ამაოდ. როდესაც დაღამდა, იუგლინგმა ჩვეულებრივ ბრძანება გასცა კამერებში შესვლის შესახებ. უელში ბრძნებას დაემორჩილა და თავის კამერაში წავიდა. იაკობმა კატეგორიული უარი განაცხადა კამერაში შესვლის შესახებ და მოითხოვა ბანაკის კომენდანტ ესესშტანდარტენფიურერ ანტონ კენდელთან შეხვედრა. იუგლინგმა ზრდილობიანი და მტკიცე უარი მოახსენა და შეეცადა დაემშვიდებინა იგი.

— ბატონო უნტერშარფიურერო, თქვენ ხომ ჯარისკაცი ხართ! შხამი ხომ შემასვით, ახლა ტყვიაც გაიმეტეთ ჩემთვის, მესროლეთ!

იუგლინგი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა, იაკობი წონასწორობიდან გამოიყვანა და ახლაც რაღაც მნიშვნელოვანი მოხდება. რა უნდა ექნა, სასტიკად ჰქონდა აკრძალული პატიმრებისთვის ხელის ხლება. იაკობი დატოვა, საყარაულოში გაიქცა და თავის უფროსს, ობერშტურმფიურერ პეტრის დაურეკა.

ამასობაში ცხრა საათი გახდა. ესეს-ის უზარმაზარი როტენფიურერი კონრად ხარფიში, ზედმეტსახელად "მორების დამპობს" რომ ეძახდნენ, ვახტზე გამოცხადდა იმ კოშკზე, რომელიც აგურის კედელს და მავთულხლართს შორის იმყოფებოდა. იუგლინგი ბანაკის კართან იყო და პეტრის მოსვლას ელოდა.

იაკობი გალიაში მომწყვდეული ვეფხვივით აწყდებოდა ფარდულის კედლიდან „სიკვდილის ხაზამდე", უელში ყველაფერ ამას თავისი კამერის ფანჯრიდან ადევნებდა თვალს, დაინახა როგორ მოწყდა იაკობი და როგორ გადაკვეთა მოულოდნელად „სიკვდილის ხაზი", გაიგონა ყარაულის შეშინებული ყვირილი — „დაბრუნდით უკან!" — ეს ყვირილი გაიგონა იუგლინგმაც, რომელიც ბანაკის კართან იდგა. უელშმა ახლა იაკობის ხმას მოკრა ყური, გაცოფებული ვეფხვის ღრიალს რომ ჩამოგავდა.

— მესროლე! მესროლე შე დედალო! რაღას უცდი! — უელშმა დაინახა, როგორ მიაწყდა იაკობი ეკლიან მავთულხლართს.ისიც დაინახა რომ ეკლიან მავთულხლართიდან და კოშკზე ცისფერმა ნაპერწკალმა ერთდროულად გაიელვა.

ენდრიუმ ვერც გაიგო, რამ მოკლა იაკობი, ტყვიამ, რომელიც ყვრიმალში და საფეთქლიდან გამოვიდა, თუ ეკლიანი მავთულხლართის მაღალი ძაბვის დენმა. ზოგმა შემდეგში აზრი გამოთქვა, იაკობი უკვე მკვდარი იყო დენისაგნ,როდესაც ტყვია მოხვდაო.

ენდრიუ უელში თავდაღმა ჩაემხო საწოლზე და ამხანაგებმა დილამდე ვერ შეძლეს მისი დამშვიდება.

მთელი ღამე ეკიდა იაკობის გვამი მავთულხლართზე.

მხოლოდ მეორე დღეს გვიან ინება საგამომძიებლო კომისიამ საიმპერიო უშიშროების სამსახურიდან მოსვლა. კომისია აღშფოთებული იყო იმით, რომ ჰიმლერის ყველაზე უფრო ძვირფასი მძევალი უკვე მკვდარი იყო. ჰიმლერმა ბრძანებაც კი გასცა, პასუხი ეგოთ ასეთი უტვინო საქციელისათვის იმპერიის უშიშროების სამსახურის მუშაკს სახელმწიფო და პოლიციის სამსახურის მრჩეველს დოქტორ რიხარდ შულცეს და პოლიციის მრჩეველს კურტ ამენდს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს არავინ დაუსჯიათ.

ესეს-ის დივიზიის "მკვდარი თავის" ექიმის ექსპერტიზის აქტში ვკითხულობთ: „ყვრიმალიდან 4 სანტიმეტრის დაშორებით არის მუხუდოს მარცვლის ოდენა ტყვიის შემავალი ჭრილობა, დაზიანებულია თავის ქალის თავის ძვლები ჩაის ფინჯნის სიდიდისა, არის ტვინის მასის გამონაჟონი. ამ დაზიანებების მიზეზია სიკვდილი."- დენის შესახებ ექსპერტიზის აქტში არაფერია ნათქვამი, ამის თაობაზე არც სეეს-ის გამოძიების აქტებშია ნათქვამი რაიმე.

ფაქტი ფაქტად რჩება, ზაქსენჰაუზენის „A" განყოფილება პატიმართა ფსიქოლოგიური წამებისათვის იყო განკუთვნილი, ისიც ფაქტია რომ ვერ გატეხეს საბჭოთა ჯარისკაცის ნებისყოფა, იაკობი ბოლომდე ერთგული დარჩა როგორც კომუნისტი და ერთგული შვილი დიდი მთავარსარდლისა. როდესაც დარწმუნდა იმაში, რო ამ ჯოჯოხეთს თავს ვერ დააღწევდა რაღა უნდა ექნა ფაშისტთა ხელში ჩავარდნილ თავის ანაბარა დარჩენილს და თვითონვე მოისწრაფა სიცოცხლე.

მესერშმიდტის ფირმის მუშებს და მათი საშუალებით გერმანიის მუშათა კლასს, ცოცხალი ხმა მიაწვდინა ფაშიზმის გარდუვალი კრახისა და გამარჯვების შესახებ.

* * *

თავდაცვის კომიტეტის სხდომა მიმდინარეობდა. უზარმაზარ მაგიდაზე გაშლილ რუკას დასცქეროდა სტალინი ჩიბუხით ხელში, მთავარი ბანაკის ყველა წარმომადგენელი აქ იყო. კარი გაიღო და ფრთხილად შემოსული ადიუტანტი მარშალ ჟუკოვს მიუახლოვდა. განზე გამდგარი ადიუტანტი და ჟუკოვი რამდენიმე წუთს ხმადაბლა საუბრობდნენ. ჟუკოვმა ხელის მოძრაობით ადიუტანტი გაისტუმრა და მოლოტოვისაკენ გაემართა, მაგრამ მას სტალინმა გადაულობა გზა.

— თქვენ თვითონ, მოახსენეთ კომიტეტს, ამხანაგო ჟუკოვ, ახალი ცნობა.

ჟუკოვი გაშრა, ერთ ადგილზე გაქვავდა, შემდეგ კი დაიწყო ლაპარაკი ჩავარდნილი ხმით. ამ ხმაში დიდი თანაგრძნობა და უაღრესი მწუხარება გამოსჭვიოდა.

— ამხანაგებო! ამხანაგო სტალინ, დაზვერვამ გადმოგვცა, რომ 14 აპრილს საღამოს 11 საათზე „ზაკსენჰაუზენის" ტყვეთა ბანაკში ფაშისტებმა მოკლეს იაკობი. ჩემი წინადადებაა, ამხანაგებო, დღეს სხდომა გადაიდოს.

სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა, სტალინი ერთ ადგილას იდგა. მიუხედავად დაძაბული სიტუაციისა, მთელი მისი პიროვნება კონტროლს უწევდა არსებულ მდგომარეობას. მისი სახე თამბაქოს ბოლში იყო გახვეული და თითქოს ერთის წამით კომიტეტის წევრებმა დაინახეს, რომ თვალში ცრემლი აუკიაფდა. ეს იყო მხოლოდ ერთის წამით. სტალინი ღია ფანჯარასთან მივიდა და ხუთი წუთის განმავლობაში ხმა არ ამოუღია, ჩიბუხი ბოლომდე მოსწია, ახალი თამბაქოთი გატენა და მოტრიალდა. კომიტეტის წევრებს მოლოტოვი გამოეყო, სტალინთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და ხმამაღლა, მღელვარე ხმით წაროსთქვა:

— ამხანაგო სტალინ, ცენტრალური კომიტეტის, მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სამძიმარს გიცხადებთ იაკობის დაღუპვის გამო. მან თავისი სიკვდილით დაამტკიცა ჩვენი მრავალეროვანი და დიადი სამშობლოს სიყვარული. მე ვეთანხმები ამხანაგ ჟუკოვის წინადადებას, გადაიდოს თავდაცვის კომიტეტის სხდომა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა იცდიდა, რას იტყოდა სტალინი. ყველამ პირველად დაინახა, რომ ეს კაცი, უზარმაზარი პიროვნება მხოლოდ ხუთი წუთით იქცა დაღუპული საკუთარი შვილის მამად. შემდეგ კომიტეტის წევრების წინაშე კვლავ მობილიზებული, ბრძენი და დიადი სტალინი იდგა, მათ ისევ მოესმათ მისი მშვიდი და მტკიცე ხმა:

— მამა, როგორც ყველა თქვენგანი, მხოლოდ საკუთარ სახლში ვარ. დღევანდელ სხდომაზე მნიშვნელოვანი საკითხები წყდება, ამხანაგებო. კომიტეტის სხდომის გადადება არ შეიძლება. განაგრძეთ, ამხანაგო ანტონოვ! — მიმართა უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალური შტაბის უფროსს. დაღლილი სახეები ისევ რუკაზე დაიხარნენ.

1943 წლის 16 აპრილის ღამის სამი საათი იყო.

ტიციან ტაბიძე 115

მაშ გამარჯვება...

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც
მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას
მუხლებით.
— მაშ გამარჯვება,
ტკბილო სიცოცხლე
დავრჩებით ერთად ჩვენ
განუყრელი.
ვინ მისცა ფერი
მუხრანის ღვინოს
ვინ მისცა ფერი არაგვის
ველებს,
სანამდე უნდა, რომ
მზეთ ედინოს
გავარვარებულ ოქროს
თავალებს!
სხვა რომ მოკვდება,
მისთვის რა არი:
წავა, გაქრება, როგორც
სიზმარი,
მე კი რა ვუყო ამ
გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც
დევად აგანთებს.
ნეტა სადა აქვს ამ
ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად
ამდენი ვაზი.
სჯობს აღარ გქონდეს
სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე
ლამაზი!
— სხვა საქართველო
მაინც სად არი?
რომელი კუთხე, რომელ
ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე
ცეცხლის ღადარი,
ქვეყნად სამოთხე სხვას
ვის ეღირსა?
დავბადებულვარ რომ
ვიყო მონა,
და საქათველოს მედგას
უღელი:
— მაშ გამარჯვება,
ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ
განუყრელი!..

ივლისი, 1928 წ.

2 ←

სამხრეთ ქვეყნებისა და მსოფლიოს გარშემო 1721 – 1722 წწ“. წიგნის ავტორი გახლდათ ჰოლანდიელი ადმირალის როგევნის ექსპედიციის წევრი, კარლ – ფრიდრიხ ბერენსი. ეს იყო ევროპელთა პირველი ვიზიტი აღდგომის კუნძულზე. აღმოჩენა მოხდა შემთხვევით. როგევენის ექსპედიცია ავსტრალიის გზებს ეძებდა. 1722 წლის 6 აპრილს ისინი წააწყდნენ პატარა კლდოვან კუნძულს. ვინაიდან ის დღე, ქრისტიანული რელიგიის დღესასწაული – აღდგომა იყო, აღმოჩენილ კუნძულს აღდგომის კუნძული უწოდეს.

როგევენის ექსპედიციის წევრებმა კუნძულზე ბევრი საოცრება იხილეს. ისინი განაცვიფრა ქვის უზარმაზარმა ქანდაკებებმა, რომლებიც ასევე ქვის უზარმაზარ პედესტალებზე, ე.წ „ახუზე“ იდგნენ. ქანდაკებებზე გამოსახული იყვნენ უცნობი მოდგმის ხალხთა ტიპები, მოკლე წვერითა და ზეცას მიპყრობილი თვალებით. ამ ქანდაკებებს ჰქონდათ ძალზე გრძელი ყურები და თავზე ეხურათ მოწითალო ფერის ტუფის ქვისგან დამზადებული თავსამოსი – „პუკაო“.

ქსპედიციის წევრებს ეგონათ, რომ ეს ქანდაკებები, რომელთა სიმაღლეც 8- 10 მეტრს აღწევდა, უბრალო თიხისგან იყვნენ გამოძერწილნი, თუმცა სულ მალე დარწმუნდნენ ამ ვერსიის უსაფუძვლობაში. საკმარისი იყო მათზე წერაქვის დარტყმა, რომ ირგვლივ ნაპერწკლების კორიანტელი დამდგარიყო. ეჭვი არ იყო, რომ ეს ქანდაკებები მაგარი ჯიშის მონოლითური ქვებისგან იყო გამოთლილი. მათ ასევე შეამჩნიეს, რომ გაველურებული კუნძულელები მზის ჩასვლისას და ამოსვლისას , ქვის ქანდაკებების გარშემო უამრავ კოცონს ანთებდნენ და მუხლებზე დაჩოქილნი, ხელებაპყრობილნი ლოცულობდნენ.

როგევენის ექსპედიციის შემდეგ 1770 წელს კუნძულს ესტუმრნენ ესპანელი კაპიტნის გონსალესის ეკიპაჟის წევრები. არანაკლებ განაცვიფრა ისინი ქვის გოლიათების ხილვამ. ესპანელებს ვერ გაეგოთ , თუ როგორ შეძლო კუნძულზე მცხოვრებმა ერთმა მუჭა ხალხმა, რომელთაც ცხოვრების უაღრესად პრიმიტიული პირობები ჰქონდათ, ასეთი გოლიათური გაბარიტების მქონე ქვის კერპები შეექმნათ და ეს მაშინ, როცა მათ არ ჰქონდათ რკინა, მანქანები და გამწევი ძალა.

პირველები, რომლებიც ესპანელებს კუნძულზე შეეგებნენ, იყვნენ მაღალი, თეთრკანიანი და ქერა თმიანი ადამიანები. გონსალესმა გააზომინა ორი მათგანის სიმაღლე და ისინი გამოვიდნენ, შესაბამისად, 199 და 195 სმ. ესპანელები თვალნათლივ ხედავდნენ, რომ ეს თეთრკანიანი ადამიანები ძალზე გავდნენ ევროპელებს და მათ არავითარი საერთო არ ჰქონდათ წითელკანიან აბორიგენებთან.

ესპანელებმა სამ ბორცვზე ხის ჯვრები დასვეს, კუნძული ესპანეთის მაშინდელი მეფის კარლოს მესამის სამფლობელოდ გამოაცხადეს და ოკეანეში შეცურეს.

ოთხი წლის შემდეგ კუნძულს ეწვია იმ დროისთვის სახელმოხვეჭილი ინგლისელი კაპიტანი ჯეიმს კუკი. თუ როგევენის ექსპედიციამ კუნძულზე არსებული ქვის გოლიათური ქანდაკებები უკლებლივ ქვის პედესტალებზე მდგარი იხილა, ჯეიმს კუკის ეკიპაჟის წევრებმა მათი უმეტესობა წაქცეულები და ნახევრად მიწაში ჩაფლულები ნახეს. უეჭველია, კუნძულს ამ პერიოდში ძლიერი კატასტროფა განეცადა. მას ისიც ადასტურებდა, რომ კუნძულის მოსახლეობა ძალზე შემცირებული იყო. ჯეიმს კუკის ცნობით მათი რაოდენობა 700 კაცს არ აღემატებოდა, როგევენი კი ხუთიათასამდე სულს მოიხსენიებდა.

ჯეიმს კუკმა გამოიკვლია ორი დიდი პედესტალი, რომლებზედაც ქვის გოლიათური ქანდაკებები იდგნენ. იგი განაცვიფრა ქვის გოლიათურმა ლოდებმა, რომლებიც ისეთი სიზუსტით გამოეთალათ, რომ მათ შორის მინიმალური ღრიჭოც არ იყო დარჩენილი. ასევე არ იყო გამოყენებული რაიმე შემაკავშირებელი სითხე ან რაიმე შენაერთი.

ჯეიმს კუკს გემზე ჰყავდა პოლინეზიელი მეზღვაური, წარმოშობით კუნძულ ტაიტიდან, მას ზოგი რამ გაეგებოდა აღდგომის კუნძულის მცხოვრებთა დიალექტისა. მისი დახმარებით ინგლისელებმა შეიტყვეს, რომ ქვის გოლიათური ქანდაკებები არ წარმოადგენდნენ ღმერთების გამოსახულებებს. ისინი შექმნილი იყვნენ ძველი დინასტიის თეთრკანიანი მეფეთა შტოს საპატივცემლოდ. კუკისათვის გაუგებარი დარჩა, თუ ვინ იყვნენ ამ კუნძულზე პირველი მეფეები და რომელი ანტროპოლოგიური ხალხის ტიპებს გამოხატავდნენ ეს ქანდაკებები.

შემდეგი მოგზაური, რომელმაც მცირე ხანს დაჰყო აღდგომის კუნძულზე, იყო ფრანგი ლაპერუზი. მან კეთილშობილური მისიით კუნძულზე გასამრავლებლად ჩამოიყვანა: ღორები, თხები, ცხვრები და სხვა შინაური ცხოველი თუ ფრინველი, დათესა შვრია, ქერი, ჭვავი და ხორბალი, მაგრამ ლაპერუზის კეთილშობილურ მისიას კუნძულელებმა უმადურობის წყალი გადაასხეს. როგორც კი ლაპერუზმა აღდგომის კუნძული დატოვა, დამშეულმა კუნძულელებმა სუყველაფერი გააჩანაგეს. ასე, რომ კვლავ ტკბილი კარტოფილისა და თევზის ამარა დარჩნენ.

ლაპერუზმა აღდგომის კუნძულზე რამოდენიმე ჩანახატი შეასრულა. სწორედ მან შემოგვინახა ქვის გოლიათური ქანდაკებების პირველი ილუსტრაციები, რომლებშიც ქანდაკებები გამოსახულია ქვის პედესტალებზე მდგარი, ტუფის ქვისაგან გამოთლილი თავსამოსითა და გრძელი ყურებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლაპერუზის შემდეგ აღდგომის კუნძულზე ჩამოსული მოგზაურებიდან აღარავის უნახავს პედესტალებზე მდგარი ქანდაკებები. მიწისძვრებმა ისინი ყველანი წააქცია.

გადიოდა დრო. აღდგომის კუნძულს პერიოდულად იკვლევდნენ: დიუ პტი-ტუარი (1838წ.), მისიონერი ეჟენი ეირო (1864წ.), ვაშინგტონის მუზეუმის თანამშრომელი უილიამ ტომსონი (1886წ.), ინგლისელი მკვლევარი ქალი ქეთრინ რაუტლეჯი (1914წ.), პროფესორი მეტრო (1934წ.), ტურ ჰეიერდალი (1955წ.), მაზერი (1961წ.), მელოი (1972წ.) და სხვა მრავალი.

აღდგომის კუნძულის კვლევის საქმეში თავისებური წვლილი მიუძღვით რუს მეცნიერებსაც. ჯერ კიდევ 1877 წელს გემ ”ვიტიაზით “ კუნძულს ეწვია რუსი მოგზაური ნ. მიკლუხო-მაკლაი*. ასევე ორჯერ მოაწყვეს ექსპედიცია აღდგომის კუნძულზე საბჭოთა მეცნიერებმაც, პირველი 1958 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკვლევ-სამეცნიერო გემით “ დიმიტრი მენდელეევით“.

არშეიძლებაარაღინიშნოსრუსი მეცნიერების : ვ.კრენდელოვის, ი. კნოროზოვის, ნ. ბუტინოვის, რ. კინჟალოვის, ა. ჟივაგოსა და სხვათა სახელები. მათმა შრომებმა საგრძნობლად წასწიეს წინ აღდგომის კუნძულის შესწავლის საქმე, განსაკუთრებით გეოლოგიის ხაზით. რაც შეეხება ეთნოგრაფიულ საკითხებს, ეს მათთვის, როგორც სხვა მეცნიერთათვის, უცნობი დარჩა.

***) აეროპორტ მატავერზე უფრო დეტალურად ქვემო შევჩერდებით**

***) 1983 წელს გაზეთ “იზვესტიის“ რედაქციაში მე შევხვდი ჩემს მეგობარს, ლენინგრადელ პროფესორს, ბორის სტარიკოვსკის. მან რედაქციაში მოიყვანა სამი ხანდაზმული ავსტრალიელი პიროვნება. ისინი აღმოჩნდნენ მიკლუხო-მაკლაის შვილიშვილები. მათ ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მათი ბაბუა, გარდა მეცნიერული მოღვაწეობისა, ფინანსური გაჭირვების დროს, ეწეოდა მონებით ვაჭრობასაც. უნდა გენახათ რა დღეში ჩავარდნენ რუსი ჟურნალისტები: ისინი ადგილს ვერ პოულობდნენ უხერხულობის გამო.**

(გაგრძელება იქნება)

მზის შვილები

რევაზ ერისთავი



ARAMC DA ARAMC!

არამც და არამც!
კუბოს კარს მიღმაც ! —
კუბოს კარს მიღმაც
(იქაც კი, — ვით აქ, — კუბოს
კარამდე)!
არამც და არამც!
არ გავკმენდ მე ხმას! —
ვერ დამადუმებს მე მოძალადე!
კუბოს კარს მიღმაც
(იქაც კი, — ვით აქ)!—
ჩემი ზარს დასცემს ხმა მოძალადეს!

სისხლი ამიჭრა

მამაულზე ფიქრით დამაშვრალს
სისხლი ამიჭრა მავანთა
პირში მთქმელობის თამაშმა.

რომც ეწყინოს ზოგს

როცა ხარობს ბრბო:
— ამერიკამ გვცნო!
როცა ხარობს ბრბო:
— გერმანიამ გვცნო!
ვაქებ, ვინც იმ დროს
(რომც ეწყინოს ზოგს)
თავს მათხოვრად გრძნობს!
ჰაი გიდი! —
ჩემო კარგო ქვეყანავ! —
ცნობის ღირსიც
აღარახარ შენ განა?!

იესუ ჩემო! — აი , მაშინ შემიწყალე მე!

სამშობლოს ჩემსას, — რაც სურთ, —
იგი თუ უწყალობეს
(წინ აღუდგება ვინმე განთურა?!):
ამოიძირკვის (თუმც, —არა მყის! —
თანდათანობით!), —
რაც მთავარია, შენივე ხელით, —
შენი ლამაზი, არამარტო, ზნენი
ქართული! —
ენაც კი შენი! (ნუ ჰყოს გამჩენმა)!
სამშობლოს ჩემსას, — რაც სურთ, —
იგი თუ უწყალობეს
(ტელევიზიით, რადიოთი, როგორც
გალობენ!):
ჩვენიც სამამდე სახელმწიფო იქნება
ენა
(გუგული მაშინ გაიფურჩქნოს! —
მოგეცა ლხენა!)
და მცირე ხანში, — ფაფუ! — შენი
შოთასი ენა! —
ენაც და ერიც!
სამშობლოს ჩემსას, — რაც სურთ, —
იგი თუ უწყალობეს!
იესუ ჩემო! — აი მაშინ შემიწყალე მე!

* * *

ყველას ჩვენში რომ სურს
დამკვიდრება მსხემსა! —
როგორ გასწვდეს მოსულთ
მიწა ერთი ხემსი!
ხალხნი არ ხართ, ხალხნო?! —
ჰკითხეთ ერთი ღმერთსა: —
რა იღონოს , — რა ჰყოს
მიწამ ერთმა ხემსმა?!

უფლის მეოხებით ყველას მოევლება!

თავი ისახელეს ჩემმა კოლეგებმა
(უფლის მეოხებით ყველას
მოევლება!):
შემდგომად ხანგრძლივი
კირკიმალის, —
ადგნენ და ერთბაშად მიხიმანეს
(რაზედაც მე ხშირად ვიღიმები)!

* * *

ვარ წოდგელის მოლოდინში!—
ნამგლისაში, — ჯეჯილია!...
მეშინია მხოლოდ მისი, —
ჩემი ვისაც ეშინია!

* * *

ამ საწუთროში (ერთი არც კი როა
ნაფაზი!)
პატიოსნებას (ძვირფასს უწინ!)
აქვს აწ რა ფასი?!—
ამდენი როა თითლიბაზი და
მატრაბაზი?!

* * *

ცხადყო ნამყომ!
თვით დრომ ცხადყო:
ამა თუ იმ დროის ამყოლს, —
ესა თუ ის დროვე ამხობს, —
მაქვს მერმისის იმედი მე!—
მივაბოტებ იმედ-იმედ!

* * *

ჩემი გამოდგა მოსისხლე, —
ვინც ვითომ გვერდში მედგა;
როგორც კი წავიბორძიკე, —
მაშინვე ამიმხედრდა!
უზენაესო მამავ და
ძეო და სულიწმინდავ!
პური მიჭმიე სამართალს, —
სხვა არაფერი მინდა!

საქართველოს „პარლამენტის“ სხდომა, არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე მსჯელობისას, არამედ საერთოდ

ეს „პარლამენტი“
(ხვალის დღეზე თვალდახუჭული!)
აბლაბუდაში მე მაგონებს
გაბმულ პუჭურიკს, —
ხელით ობობას ემუქრება
ვინც მომუჭულით!

* * *

აურაცხელი სანაგვეზე
ჰყრია სინდისი;
გადის ცხოვრება
კაცის კაცთან
სკამზე ჭიდილში.

* * *

წაკითხულს განზე გადადებს გაზეთს
და ბერიკაცი (წესიერი)
სვამს კითხვას ასეთს:
დღეს რა ნამუსით, ახლებურად,
ნეტა, კუნტრუშობს!—
უკმევდა გუშინ კომპარტიას
ვინცა გუნდრუკსო?!

ქართული სიტყვის მთავარსარდალი

მუხრან მაჭავარიანი

(12. 04. 1929, არგვეთი — 17.05.2010 თბილისი)

„მე მირჩევნია დამარცხებული მართლის გვერდზე ვიდგე,
ვიდრე გამარჯვებული დამნაშავისა“
მ. მაჭავარიანი

დანიელ ფიფია

მეგრულ - ქართული სალექსიკონო მასალები
(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №1 (18), 2010 წ.).

გ

გა (ურმის) –
გაგამინჯობა – მძლავრი სიცხე.
გაგაჩი –
გაგესქუა — მზარეული
გადარი –დავა
გადღანება –დაწუნება, საყვედურობა, გაკვირვება
გავალი – ზარალი
გაკირალი –სახვევი
გაკონწყუმა –დაბეზღება
გაკოციმილი – დარღვეული
გალე- გარეთ
გამაღეთ – განზრახ
განთხი – ბაყვი
განჩი - საყვედური
გაპეკება – გაამაყება
გარგატი –
გარგუებული – უბედური
გარდღა – წვივი, დატევა, შეფერება
გასაშინე – სახსოვარი
გასაჯოგე – შესაძულებელი, საზიზღარი
გაფა - გადახდა, აგება, გზის გაგნება
გაღა - ტვინი, ჭკუა
გაღულება – გამტყუნება
გახო – შორიახლო
გახუზება – გაქსუება
გაჯალი – უშნო სირბილი
გებირა - დამღერება
გეგენია –
გედვალა – ბევრი ვალის დადება
გელაფა – ჩავარდნა, ჩაქანება
გემუა – მკა
გენთხაფა - დაცემა
გენტირა – დატევა
გენჯირა – დაწოლა რამეზე
გერანი – მაგრი ზამთარი
გერგეზი – დიდი უშველებელი
გერგელი – გორაობა
გერე – მჯობნი
გერთაფა – დართვა
გერინა - დგომა
გერინელი – დამდაგარი
გერჩქვანა – დაჩვევა
გესაძინე – ზედამხედველი
გესახვილაფ – საჭირო
გესერაფა – დაღამება
გესერელი – ღამე მდგომი მგზავრი
გეღზაფა - წერა
გეცვენჯი – მომდევნო
გეშა (სქანი გეშა) – გამო (შენს გამო)
გეშაკანი –საყვედური, წამოყვედრება
გეშურაფა – დასუნვა
გეჩა – თევზის საჭერი
გეჩემა – გადაყლაპვა
გეძინა – დამატება
გეწი-გეწი – ზედიზედ
გეჭიშაფა – დაწევა
გეხვილა – დასაჭირება
გეხვილაფა – რამეზე მისწრება, საჭიროება
გვაბანა – საზამთრო წამოსასხამი
გვაგუა – დაჟეჟება
გვალა – მთა
გვანილი – მსუქანი
გვარგვალაფირ – აჩუხჩუხებული
გვარგვალი – ჩუხჩუხი
გვარსალია – მსხვილი
გვერდი – ნახევარი
გვერგვ – ბლომად არის
გვერთოფუ –
გვიბალი – მსხვილი
გვიგვილი – კოკორი, კვირტი
გვიგვინაფილ – დამსხვილებული
გვირა (გვირალი) –იხ. ხვიჩა
გიაშხვართ – ეწმახნების
გიბუა – ხარშვა
გითაკინალ – გამოსაწევი
გითმაჩამალი – მოღალატე, გამცემი
გითოზოთუა –გამოზამთრება
გითოთირუა – გამონაცვლება
გითოტყობუა – გაპარვა
გითონარქუა – ყელის გამოჭრა
გითონწილირი – მოჭირებული
გითოტყურაფა – გატყუება
გითოყირზაფა – ჩამოხრჩობა
გითოჩამა- ღალატი
გილაბურჭული – თვითნებობა
გილადვალირი – ზარმაცი
გილალუ – სასიხარულო
გილალუაფა – გაფუჭება
გილალუაფირ – გაფუჭებული
გილამბარილი – გამობერილი
გილანწყუმა – ჩამორთმევა
გილართა – მზის გადახრა
გილასქილადა – მოგება
გილასქილედი – მოსაგები
გილაქიმინუა (გიმოქიმინუა) – გამოქნა
გილაცვანთაფი – ბაჯბაჯი
გილაცოთამა – გამორჩენა
გილმაგერგელე – მგორავი
გილმალ –მოსიარულე, მოარული
გილულა – სიარული
გიმათუთა – ოქტომბერი
გიმანჯირა – ჩამოწოლა
გიმარენჯი – ზემდგომი
გიმნათირა – გამონაცვალი
გიმოზგვენჯილი – ძალიან გრძელი
გიმორინა – გამოდგომა
გიმორჩქინა – აღმოჩენა
გიმორჩქინელი – აღმოჩენილი, გამოჩენილი
გიმოქიმინუა – გამოქნა
გიმოჩემა – გაყიდვა
გინასქილედი – ნარჩენი
გინაფა – გრძნობა, გაგებინება, შეტყობინება
გინაცოთამალ – გადასაგდები
გინაალასა – ენაშალი
გინნასქილედი – ნარჩენი
გინოთანთილირე – მკვდრის ფერი ადევს
გინოთანთუა – გათეთრება, მკვდრისფერის დადება, გათეთრება
გინოკინა — გადახრა, გადაწევა
გინოლასირი – შეშლილი
გინოლასუა – შეშლა
გინოლაფა – გადავარდნა
გინონდღულაფა – გადადნობა
გინონდღულაფირი – გადანადნობი
გინორინა – მაღლიდან გადმოდგომა, გამოსარჩლება
გიმორღვაფა – გამოყრა
გინორთა – გადახედვა
გინოსურამაფა – დიდხანს სტუმრად ყოფნა
გინოსქილადა- გადარჩენა
გინორთუალა – გადახურვა, გაწერა
გინოსქილადირი – გადარჩენილი
გინოფორუა – გადახურვა
გინოფიორაფა – გადაღება
გინოფუნაფა – გადადუღება
გინოღალა – გადატანა
გინოცოთამა -გადაგდება
გინოცოთამილი – გადაგდებული
გინოჩამა – გადაცემა, ხატზე გადაცემა
გინოჩარქალაფა – ოდნავ გადაწევა
გინოჭყორდ – გადაწყდა
გინოჭყვადილი –გადაწყვეტილი
გინოჭყვიდუა – გადაწყვეტა
გინოხორაფა – გადასახლება
გინულა – გადასვლა
გინძე- გრძელი
გიორაცაფელი – სახელდახელო
გიორენჯი – დასადგომი
გირგოლუა – კვნეტა ძვლისა
გირინი - ვირი
გიტა, გიტალი – მსხვილი ფაშვი
გიშნაგორა – რჩეული
გიშაგორალი – არჩეული
გიშაგორუა –არჩევა, არჩევნები
გიშალასირი – ამოფხეკილი, ამოშლილი
გიშანწყუალა – გამოკეთება
გიშასხუნუა – ამორჩევა
გიშაღალა – გატანა
გიშაჭუალა – გამოცხობა
გიშმაგორალი – ამომრჩევი
გიშნაგორა – რჩეული
გიძღ - გალია
გიჯალი – დაბალი და მსხვილი
გობურდღონილ –ბანჯგვლიანი
გოგვაგვალერი – ოხერტიალი
გოგინგოლირ – გამწვირიანებული
გოდირგილი – გარყვნილი
გოთე – ტყისპირი
გოდორო – გაბერილი
გოდულილი –
გოზიორილი –გაბზარული, დახეთქილი
გოზონთალაფირი – გახურებული
გოთინუა – გასწორება
გოთხიუა – შენახება
გოლაფა – გავარდნა,შეკრთომა, გასროლა
გოლირი - დაგვალული
გოლოფა - გვალვა
გოლოლუა - გამურვა
გოლუა - შემოვლება
გომინჯი – საშობაო კვერი
გომიში – კამბეჩი, კამეჩი
გომორძგუა – გამარჯვება
გორგინჯუა – გაგლეჯა
გონირსუბელუა –
გონჯღილირი – გატიკნული, გავსებული
გონქირაფილი – გონებადაკარგული
გოსქუალა – გარემოცვა
გოპირელი – აყვავებული
გოჟიფელი – იხ. ჟირფა
გორაფა – გალანძღვა
გორაცუა – მოგერიება
გორგალი – ხერხემალი
გორდა – მრუდი
გორდი – ბაყაყი
გორდილი – გაზრდილი
გორსაპილი – სავეს
გორუა – ძიება
გორჩელი – დაგებული
გორღიმინაფილი –
გორჩხილი – გარეცხილი
გორცხანტილი – გაჭრილი მცირეზე
გორჭიპილი – დაჭიმული
გოსიოტილი –
გოსოფილი – გაგლეჯილი
გოსოფუა – გაგლეჯა
გოსოფური – შესანიშნავი, კარგი
გოტება – გაშვება
გოფარაქელი –
გოფარდაგუა – შუაზე გაჩეხვა
გოფერჩველუა – გაფრცქვნა
გოფურაფა – გახურება
გოფურაფილი – გახურებული
გოქურუა – მოქუსვლა, გაქცევა
გოღა – გუშინ
გოღაწო – გუშინწინ, გუშინწინისწინ
გოღაწოსერი – გუშინწინ ღამით
გოღიტინაფა – ღილების გახსნა
გოღობინი – შემოღობვა, გარშემორტყმა
გოცოთამა – გასროლა, გაგდება
გოფაჩილი – გაფანტული
გოშინა – გახსენება
გოჩიკინაფა – გაშეშება
გოჩირხინაფა – გათამამება
გოძღოძღო – ქათმის ხერხემლის ძვალი
გოწიბორილი – წვრილი
გოწკურნაფილი -
გოწოს – შარშან
გოჭირკინაფა – გაჭიმვა
გოჭყაფა – დაწესება
გოჭყაფილი – დაწესებული
გოჭყოლადირი – დავინყებული
გოჭყორინი – დატუქსვა
გოხარცქა – გასკდომა
გოხოლუქ – გახლავარ
გოხუაფა – მიწის შემოყრა
გოხურგუა – განსაზღვრა
გოხუშქორილი – გაშავებული
გოჯოგაფა – შეძულება
გოჯოგელი (გოჯოგაფილი) – მოძულებული
გოჯუმაფილი – გამბედოვანი
გოჯუმაფა – გამბედოვნება
გუ – გავს
გუდა – ტიკი
გულა – 1. ბაზარზე გასავალი, 2. გავლენა
გულირი – გავლენიანი
გუმორთუალა – გამოყოფა
გუმოჭახნაკელი – გამოქანდაკებული
გუმოჭახნაკუა – გამოქანდაკება
გუნაფა – დამწიფება
გუნება – გინება
გურამი – გულადი
გურაფა – სწავლა
გურაფილი – სწავლული
გურგინი — ქუხილი
გურიჩამა — მიხვედრა
გურიგაგათ — უგულოდ
გურიშ ეხუნაფა — წაქეზება
გურიწყული — გულისხმიერი
გურმაჭვე — გულშემატკივარი
გურმეჭვია — გულწითელა (ჩიტი)
გუფუა — ჭაგუბება (პირში)
გუხ — ურდული
გუჭუა — დაცობა

დ

დაბადუ — დაბადებული, დამბადებელი
დადი — ბებია
დადია — მთავარი სამეგრელოსი, უხუცესი
დათერუ — დასასრული
დათხია — მოშორება
დაკინება — პურობა, დაჭერა
დალახება — ავად გახდომა
დალია — ბოლო
დამაზი — კორკიმელი
დამორჩილი — შემოდგომა
დანდინი — ტანტალი
დაპეჯება — დაპატიჟება
დარაია — აბრეშუმი
დარგა — უშობელი თხა
დარქიალი — მარაო
დასაბაღი — საკმაო, სამყოფი
დასანჯარი – სახარბიელო
დაჩხირი — ცეცხლი
დახე — ძლივს
დგედგუა — გაშოლტვა
დგვინდგვი –
დგუდგუა — დაბუგვა
დება – დავა
დედიბი – ბებერი ქალი
დედფანია – ბებია ქალი
დერგი – ყველის შესანახი ჭურჭელი თიხისა
დვენდვერია —
დიარა – ლხინი, ქორწილი
დიარაფა — ჭმევა
დიდაყონერი — დედინაცვალი
დიკობუნა — ჩასხმა პირში
დიკოხონი – დაღმართი
დინაფა — დაკარგვა
დინაფილი — დაკარგული
დინახალე — შიგნით
დინოხ — შიგ
დიო – ჯერ
დირგუ – მყვლეფავი
დიშქა – შეშა
დიცალი – ხორციანი
დიწიმინდი – დაიკარგე
დიხაშ ნწალუა — მიწისძვრა
დგნცხგ– ფერია ერთნაირი
დო – და (კავშირი)
დობერია – ბარი
დობიჯგაფა – დადგმა
დობუნა – დათხევა
დოდგინა შემზადება
დოღუზილი — ჩამოზნექილი
დოზოჯი – დაბრძანდი
დოთიხუა – დაჩემება
დოთოლორაფა – დათვალიერება
დოკინა – დაწევა უკან
დოლაფირი – დაცემული
დოლმახორე – მონა
დოლო – ბალახი
დონართინეფი – დანაბრუნები
დონაციმა – ნაყარი
დონთხაფა – დაცემა
დონთხაფილი – დაცემული
დონტირა – დატევა
დონწკარუა – ედაწყობა
დონჯირა – წოლა
დოპიჩუა — დაურწყება
დოუღარტუა – დაცემა
დორდინი –
დორთა – დაბრუნება
დორთინა – დაბრუნება
დორხველი – საკუთარი
დოროფილი – სავსე
დორცხუაფა – დაფუძნება
დორთა – დაბრუნება
დორჩაფა – დაგება
დორჩქალაფა — დაყუჩება
დოსართე – შეღავათი
დოსქილადა – დარჩენა
დოფა – ნაკვერჩხალი
დოქანცალაფა – შერხევა
დოქუნა – მოფარება რისამე
დოშქუმალა – ჩასობა
დოჩაკალაფა – წაბარბაცება
დოჩანგალაფა –
დოჩარქალაფა – წაბორძიკება
დოჩინა – სიტყვის დაბარება
დოცუნაფა – დარჭობა
დონკარუა – დაწყობა (ბევრი რამისა)
დოჭყაფა — დაწყება
დოჭყანაფა – მოშენება
დოხვალამა – დახვედრა წინ
დოხინძილირი – სავსე, დახუნძლული
დოხორე – სასახლე
დოხუნა – დაჯდომა
დუდალა – მეთაურობა
დუდალაფა – თაოსნობა
დუდელი – თავთავი
დუდი – თავი
დუდი არდებული – კადნიერი, თავაგდებული
დუდგიმე – თავქვე
დუდიმატირკინაფა – მეტიჩრობა
დუდიშული – თავისუფალი
დუდიშულო - თავისუფლად
დუდიხეშა – ტავისუფალი
დუდობაშა – თავიდან
დუდრჩე – თავთეთრა
დულუ – ურქო ცხოველი
დურუმი – იხ. წკვარამი
დურღენი –
დუფარას –
დუღა – მდუღარე
დუცია – ვარია
დღა (დღაში) — დღე
დღახუ – დღესასწაული
დღვაბა – დაგუბული წყალი
დღირზუა – დაგლეჯა
დღუმინი – ცხვირში ლაპარაკი

(გაგრძელება იქნება)

ამაგდარი

ორდენოსანი ჩაის მკრეფავი ლუბა მარღია. 1977წ.

იყო დრო, როცა შრომას ქვეყანაში სახელი და დიდება მოჰქონდა.

ძლიერი იყო სოფელი. დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის მთავარ რაიონებში თავისი გამორჩეული ადგილი წალენჯიხის რაიონსაც ეკავა. მეჩაიეები ადრე შრომობდნენ და მდიდრულად ცხოვრობდნენ- ეზოებში მანქანები ედგათ. ოჯახები წელში იყო გამართული. ხალხის სიყვარული და პატივისცემა არ აკლდათ.

იმ დროში როცა შრომა სუფევდა, სტატისტიკის ენით რომ ვთქვათ, საქართველოში, მეჩაიეობის დარგში 180. 000 კაცზე მეტი იყო დასაქმებული. სამწუხაროდ, დღეს მათი აბსოლუტური უმრავლესობა შემოსავლის წყაროს გარეშეა დარჩენილი. აქედან გამომდინარე სოციალური კატასტროფის რეალური სურათიც სახეზეა: მეჩაიეობის წამყვანი რაიონები სოციალური უბედურების ზონად ქცეულან. სამეგრელო, მათ შორის ალბათ, პირველია!

ამ პატარა წერილის ადრესატი ცნობილი ობუჯელი ორდენოსანი ჩაის მკრეფავი ლუბა მარღიაა.

ლუბა ძოკოს ასული მარღია დაიბადა 1920 წელს წალენჯიხის რაიონის ულამაზეს სოფელ ლიაში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩაება შრომით საქმიანობაში — განსაკუთრებით ჩაის კულტურა შეიყვარა. 1948 წელს ლუბა მარღიამ ბედი დაუკავშირა ობუჯელ გივი კაკაჩიას და მეუღლესთან ერთად მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელ შრომაში გაატარა. ობუჯის კოლმეურნეობაში დიდი გულმოდგინებით უვლიდა მწვანე ჩაის პლანტაციას. მისი მიზანი იყო ობუჯელ კოლმეურნეთა შორის ღირსეული ადგილის დაკავება. ქალბატონ ლუბას მუყაითობამ შედეგიც გამოიღო. ოცდაათიანი წლების ლექსის ფრაგმენტი მახსენდება, რომელიც თითქოს ლუბა მარღიაზეა დაწერილი:

„... ჩაის ბაღში თუ ჩავიდა, სხვა საქმისთვის არ სცალია,
დაახვავებს ჩაის ფოთოლს-თითქოს ფეტვის მარცვალია,
ამას ვხარობთ, მტერის გული ნახშირივით დამწვარია“.

1951 წელს, 31 წლის ასაკში კომპარატიის წევრი გახდა.

ქალბატონ ლუბას წარმატებათა ნუსხა ასეთია:

„სოფლის მეურნეობის წარმატებული“ – 1965 წ.

„სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის“ – 1967 წ. 1968 წ. 1974 წ. 1980 წ.

„შრომითი წარმატებისათვის“ – 1969, 1972 წწ.

„ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავზე – კეთილსინდისიერი შრომისათვის“ – 1970 წ.

„სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის“ -1971, 1975, 1976, 1977 წწ.

„ლენინის ორდენი“ – 1977 წ.

„საპატიო ნიშნის ორდენი“ – 1978 წ.

„შრომის ვეტერანი“- 1979 წ.

„კომუნისტური შრომის გამკვრელი“ - 1978, 1979 წ.

„X ხუთწლედის დამკვრელი“ - 1980 წ.

1977 და 1986 წლებში განაწილებით მიიღო „ვაზ-21-03“-ისა და „გაზ- 24-02“ მარკის ავტომობილები.

ქალბატონი ლუბა ოჯახშიც ისევე დაუღალავად ტრიალებდა, როგორც ჩაის პლანტაციებში.

მეუღლესთან ერთად სამშობლოს აღუზარდა ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი: მიმოზა (1949 წ.) იზოლდა (1957 წ.) და ზურაბი (1953 წ.) სამივე დააფრთიანეს და თავიანთ გზაზე დააყენეს.

ქალბატონი ლუბა და ბატონი გივი ხარობენ შვილებით, რძლებით, სიძეებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით. მათ ჰყავთ 17 შვილიშვილი (პაატა, იზა, თეა, რინოსი, ვეფხვია, მალხაზი, დათო, ელენე, ჭაბუკა, ელიკო, სალომე, მაია, ბაჩანა, მინდია, ზვიადი, ლანა, თამარი) და 9 შვილთაშვილი (მათე, მარი, გიორგი, ქრისტინე, მარი, თაკო, დავითი, ანი, მარი).

2010 წელი საიუბილეო წელია ქალბატონ ლუბასთვის. ამაგადარს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა! საპატიო ასაკის მიუხედავად ქალბატონი ლუბა დღესაც მხნედ გამოიყურება.

იმ შვიდი ობუჯელი ორდენოსანიდან ლუბა მარღია ერთადერთი ცოცხალი ლეგენდაა, სიმდიდრე და შესანიშნავი მაგალითია მომავალი თაობისთვის!

გულმხურვალედ ვულოცავთ ქალბატონ ლუბას 90 წლის იუბილეს! დაე, კიდევ დიდხანს ყოფილიყოს იგი თავისი დიდი ოჯახის საიმედო ბურჯად მეუღლესთან ერთად. სიხარული ნუ მოგაკლოთ უფალმა, ქალბტონო ლუბა!..

ვალერი ძაძამია
ივლისი, 2010 წ.

ღმერთო, გამიზარდე...

ლუბა მარღიას შვილთაშვილები: დავით, ანი და მარი კაკაჩიები.





დ ა ვ ი თ

ა ნ ი

მ ა რ ი

„ეს სიკვდილის ხახა რაღამ გადარია?!“

პატიოსანი,მშრომელი გლეხის ოჯახში დაბადებული და გაზრდილი,საოცრად კეთილი, თავმდაბალი და ლამაზი ვაჟკაცი გახლდათ.

სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულს სძულდა სიკვდილი, უსაშველოდ უყვარდა თავისი საფიცარი სამშობლო,კუთხე, ხალხი...

მამუკა ზაურის ძე ჯანაშია დაიბადა 1963 წლის 7 ივლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა სწავლას აგრძელებს ზუგდიდის 62-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში. ყველას: ამხანაგებს და მასწავლებლებს უყვარდათ და დიდად ეიმედებოდათ ნიჭიერი და ზრდილობიანი ახალგაზრდა.

ოჯახის საიმედო შვილი, ხალასი გულით დააბიჯებდა ცისქვეშეთში, ყველაზე ძალიან ადამიანები უყვარდა. პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოვებულსა და სულიერად ფაქიზს უამრავი მეგობარი ჰყავდა...

მამუკას წინაპრები მარტვილიდან იყვნენ. ამიტომ განსაკუთრებით უყვარდა ეს მშვენიერი რაიონი თავისი ულამაზესი ბუნებითა და ნიჭიერი ადამიანებით.

უფროსი თაობის ადამიანები დიდად აფასებდნენ მამუკას ნიჭს, სჯეროდათ მისი მართალი სიტყვის, ენდობოდნენ მას, რჩევას სთხოვდნენ, რადგან იცოდნენ რომ ჭირივით ვერ იტანდა უსამართლობას. საოცრად შრომისმოყვარე და პატიოსანი დიდ პატივს სცემდა მშობლიური კუთხის ტრადიციებს...

მამუკა ჯანაშია ჭეშმარიტად ქრისტიანი, მორწმუნე ახალგაზრდა გახლდათ. ტაძრებში ანთებდა სანთლებს და მაცხოვარს ავედრებდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას და მის მშობელ ხალხს. მან მაცხოვრის ხატი შესწირა მარტვილის დიდებულ ტაძარს.

უყვარდა პოეზია. თავადაც წერდა ლექსებს...

დიდად განიცადა გიორგი მებონიას ტრაგიკული აღსასრული, რომელიც 2008 წლის ოქტომბერში დატრიალდა. მამუკამ მის ნათელ ხსოვნას ლექსი მიუძღვნა. გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ განგებას რჩეული ადამიანები მიჰყავდა თავისთან...

ვაი, რომ ულმობელი სიკვდილი მასაც უდარაჯებდა. რამდენი საუკეთესო ახალგაზრდა და მათ შორის მამუკა ჯანაშიაც გამოგვსტაცა ხელიდან. უნებურად პოეტის სიტყვები



გვახსენდება: „ეს სიკვდილის ხახა რაღამ გადარია?!...“

სხვა გზა არაა. ადამიანი ჭირთათმენისათვის გაუჩენია განგებას.

მამუკას დარჩა მეუღლე, ერთადერთი ვაჟიშვილი არსენა, დედ-მამა და ძმა.

უფალს ვთხოვთ ზეციურ საქართველოში მამუკას სპეტაკი სულის დავანებას. დაე, მის საფლავზე დანთებულმა სანთლებმა გაუნათონ სასუფეველი! ამინ!

ჯუანშერ (ჯუნა) მებონია
ივლისი, 2010წ.

„ნოჯიხურის“ მკითხველებს ვთავაზობთ მამუკა ჯანაშიას რამოდენიმე ლექსს

დ ე დ ა

დედა! — ეს სიტყვა რა ლამაზად ჟღერს, —
საოცარია, ნაზი — სათქმელი;
დედის სახელი ხატად ვაქციოთ
და წინ დაუნთოთ წმინდა სანთელი!
დედა! — შვილისთვის საფიცარია, —
დედის ალერსი — ტკბილი სიზმარი, —
დედის ნანა და ჩუმი სიმღერა,
დედას ვფიცავარ, ღვთაება არის!...

* * *

მე მოვალ, მოვალ სიკვდილის მერე...
მე ანგელოზი გამომეცხადა,
ირგვლივ ვერავინ ხედავდა,
თავბრუ დამეხვა, გავშეშდი,
და სიახლოვე თვალს მწვავდა.
კაშკაშა სხივი შიგნიდან
რაღაც საოცრად ჭვიოდა, —
რაც უფრო ვაკვირდებოდი,
ვითარც მზე ამოდიოდა.
მადლობელი ვარ, უფალო,
შენს წინ ქედს ვიხრი ცოდვილი;
მშვენიერება რომ დამანახე,
არვისგან ამოცნობილი.
ამ სამყაროში მე ვარ სტუმარი,
ჯერ შვება ველარ ვიპოვე,
ღვთის და ბუნების ვარ პატიმარი,
ბედად კი მერგო მე სიმარტოვე.
მე ასე მჯერა, წლების თავსხმაში,
სიცოცხლე არის ჯვარცმაში,
ყოველ წუთს მზად ვარ წავიდე სახლში,
სახლი კი ჩემი ცაშია-ცაში!
ცაში ასასვლელ კიბეს
მხოლოდ რჩეული იგებს!

* * *

ფიქრებს არწევს, ტკბება თვალი,
თეთრქედება მთების რკალით,
სევდას რეცხავს ჭანისწყალი,
ძარღვამკამა ნაპირ-მთვრალი.
არწივების ქმნილი ბუდე,
ტერენტის და ლეოს ფუძე,
აქ სუნთქვაც კი შევიზღუდე,
მოკრძალებით გავიგუდე.
ობუჯიდან ცოტა მაღლა,
ჭანისწყალზე, ხიდის გაღმა,
უნდა ნახოს თვალმა საღმა,
სილამაზეს ჰქვია ჯაღრა!
სამ რაიონს გადაჰყურებს,
თვით წენდიხას და ჩხოროწყუს,—
ამ ბრწყინვალე კუთხე წაღმა,
განიცადა თითქმის წარღვნა,
ტრაგედია დატრიალდა,
როცა გია მოკლა ნაღმმა,
და საფლავი გაანათა
მერეკელა ღამის თაღმა...

გ ი ა ს

ამაოება მარადისობას,
სადაც ერწყმის და საფლავი ჰქვია,—
ვაჟკაცობასთან სულის ღირსებას
შენი სახელი უძღვება, გია!
ღვინის ფიალა შენზე ივსება,
გულის კარები დატოვე ღია,
სანთელი სუფთად, მშვიდად იწვება
და თავს გიხრიან: ეკალიც, იაც...
მშობლების გლოვით დილა იწყება,
სიყვარულს ტირის მეუღლე თეა, —
ნიკუშა კარგი ბიჭი იზრდება,
ამომავალი კაშკაშა მზეა!...

ნ ო ჯ ი ხ უ რ ი

რედაქტორი — ვალერი ძაძამია
„ნოჯიხურის“ მისამართი: წალენჯიხა-ობუჯი
ლეო ქიაჩელის №36. ტელ: 890 16-96-22
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ
„სამეგრელოს ქრონიკის“ რედაქციაში
მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის №84
ტელ: 8 (215) 2-01-29; 858 374-888; 899 62-65-61
დამკაბადონებელი — თეა მიშველია
ტელ: 855 49-22-07